

საქართველო: მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის
მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის
ჩარჩო დოკუმენტი (ESMF)

2022 წლის ნოემბერი
განახლებულია 2023 წლის მარტში

სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურები

1 შესავალი

2 პროექტის აღწერა

3 პროექტის განხორციელება

4 პროექტის შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა

5 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მეთოდი

5.1 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 1.1 ქვეკომპონენტში

5.2 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში

6 შრომის პირობები

7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და საჩივრების მართვის მექანიზმი

8 მონიტორინგი და ანგარიშგება

დანართი 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისების სია

დანართი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგი ს ფორმა მიკრო გრანტების პროგრამისთვის (ქვეკომპონენტი 1.1)

დანართი 3. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ“ კანონის დანართი I.

დანართი 4. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ“ კანონის დანართი II.

დანართი 5. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგი ს ფორმის ნიმუში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტებისთვის (ქვეკომპონენტები 1.2 და 1.3)

დანართი 6. ქვევის კოდექსის ძირითადი კომპონენტები

დანართი 7. პროექტის გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტის და სოციალური საკითხების სპეციალისტის ფუნქციები

დანართი 8. თანამშრომლების საჩივრების მართვის მექანიზმის ნიმუში

დანართი 9. ინციდენტზე რეაგირება: ზოგადი ინსტრუქცია

აკრონიმები და აბრევიატურები

CPF	ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩო
ECM	გარე კომუნიკაციების მექანიზმი
EG	აწარმოე საქართველოში
ESDD	გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტი
ESF	გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო
ESG	გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი
ESMF	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
ESS	გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები
GM	საჩივრების მართვის მექანიზმი
KYC	იცნობდე შენს კლიენტს
MoEPA	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoESD	ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MoILHSA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
MSME	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NEA	გარემოს ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PFI	მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი
POM	პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელო
SEP	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

1 შესავალი

1. გასულ ათწლეულში საქართველოს ეკონომიკა სწრაფად გაიზარდა და შევიდა ზედა-საშუალო ეკონომიკის კატეგორიაში. გლობალურმა პანდემიამ შეცვალა ეკონომიკური ზრდის ტრაექტორია, რაც საფრთხეს უქმნის პროგრესს როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე სიღარიბის შემცირების კუთხით. მიუხედავად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მხრივ საქართველოს პროგრესისა, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობის შეზღუდვები მუდმივად აფერხებდა ზრდას და რეაბილიტაციას, ჯერ კიდევ კოვიდ-19 პანდემიამდე. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, კვლავ ახდენს გავლენას მაკროფინანსური სტრუქტურული ფაქტორებით, რომლებიც სავარაუდოდ უფრო აქტუალური გახდება კოვიდ-19 კრიზისის შედეგად. პანდემიის კრიზისმა საკმაოდ დააზარალა კომპანიები და დასაქმება საქართველოში. კომპანიებს ურთულდებათ საქმიანობის მორგება არსებულ პირობებთან, განსაკუთრებით ელექტრონულ ვაჭრობაზე გადასვლის თვალსაზრისით. კრიზისმა შესაძლოა გაზარდოს ეკონომიკურ საქმიანობაში გენდერული ჩართულობის მანამდე არსებული ხარვეზი. მდგრადი აღდგენა საჭიროებს ინსტრუმენტების ნაკრებს, რომელიც გააძლიერებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ეკოსისტემას, დაწყებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც აადვილებენ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, დასრულებული მაკორექტირებელი მექანიზმებით, რაშიც შედის ტექნოლოგიების დანერგვა და ციფრული ფინანსური სერვისებით სარგებლობა.

2. საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი დათანხმდა 85 მილიონი ევროს (100 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი) სესხის გამოყოფას მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების გაჯანსაღების და აღდგენის პროექტში ინვესტირებისთვის. პროექტი შეესაბამება მსოფლიო ბანკის საქართველოსთვის შემუშავებულ 2019-2022 წლების „ქვეყნის პარტნიორობის ჩარჩოს“ (CPF), კერძოდ - CPF სამუშაო კომპონენტი 1: ინკლუზიური ზრდის და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

3. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პროექტის მთავარი განმახორციელებელი სუბიექტია. სააგენტომ შეიმუშავა ეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რათა ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები პროექტით დაფინანსებულ აქტივობებზე გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის გამოყენებისათვის. ESMF-ის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნებთან.

2 პროექტის აღწერა

4. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დახმარების გაწევა და მათი რეაბილიტაციის მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გარემოს გაუმჯობესებით.

5. პროექტი განხორციელდება ქვეყნის მასშტაბით და შედგება ოთხი კომპონენტისგან:

კომპონენტი 1 – მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია.

კომპონენტი 2 – ციფრული გადახდები და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლება.

კომპონენტი 3 – პროექტის მართვა და მონიტორინგი.

კომპონენტი 4 – გაუთვალისწინებელ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი.

6. 1-ლი კომპონენტის მიზანია შეამსუბუქოს კომპანიების ფინანსური სირთულეები და ხელი შეუწყოს პოსტ-პანდემიის სცენართან ადაპტაციაში.

- ქვეკომპონენტი 1.1 უზრუნველყოფს მიკრო გრანტებს მიკრო და მცირე საწარმოებისთვის საბრუნავი კაპიტალის და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად.
- ქვეკომპონენტი 1.2 მოახდენს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების სესხების პროცენტის თანადაფინანსებას.
- ქვეკომპონენტი 1.3 უზრუნველყოფს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები მიერ გაცემული სესხების ნაწილობრივ საკრედიტო გარანტიებს.
- ქვეკომპონენტი 1.4 უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ პანდემიის პრობლემებთან გამკლავების და გაციფრულებისთვის.

7. მე-2 კომპონენტის მიზანია ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ციფრულ ფინანსურ სერვისებზე წვდომას და მათ გამოყენებას. ასევე მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას მოძრავი ქონების იპოთეკის გამოყენებით, რაც ასევე ხელს უწყობს ფირმების გამძლეობას.

- 2.1 ქვეკომპონენტით დაფინანსება ინვესტიციები, საოპერაციო ხარჯები და ტექნიკური დახმარება მყისიერი გადახდის სისტემის დანერგვისთვის.
- 2.2 ქვეკომპონენტით დაფინანსდება ინვესტიციები e-KYC ინფრასტრუქტურის და KYC (იცნობდე შენს კლიენტს) რეესტრის შესაქმნელად.
- 2.3 ქვეკომპონენტის მიზანია მოძრავი ქონების იპოთეკის აღრიცხვის და აღსრულების რეჟიმის გაძლიერება, რათა შემცირდეს კრედიტორების ჭარბი დამოკიდებულება მიწით უზრუნველყოფაზე.

8. მე-3 კომპონენტით დაფინანსდება პროექტის მართვის, განხორციელების და მონიტორინგის საჭიროებები, შემდეგი ხარჯების დაფარვით: (i) სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის განხორციელების ხარჯები, მათ შორის საოპერაციო ხარჯები და დამატებითი პერსონალის საჭიროებები პროექტის სრული განხორციელებისთვის და სააგენტოს ფიდუციარული ვალდებულებების, ასევე გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების ვალდებულებების შესასრულებლად; (ii) პროექტის მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის საწარმოების კვლევებთან და ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული ხარჯები; (iii) ტექნიკური დახმარება და ტრენინგები მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების განახლებით; და (iii) ინსტიტუციური გაძლიერების სხვა ღონისძიებები.

9. მე-4 კომპონენტი გააქტიურდება მსესხებლის მოთხოვნით და მსოფლიო ბანკის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობას პროექტის მსვლელობისას შეექმნება საგანგებო სიტუაციაზე სწრაფი რეაგირების საჭიროება. ამ კომპონენტის გააქტიურების შემდეგ, რესურსების მიმდინარე ნულოვანი განაწილებით, პროექტის შემოსავლის საჭირო მოცულობა გადანაწილდება სხვა კომპონენტებიდან მე-4 კომპონენტზე, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ზომების განსახორციელებლად.

3 პროექტის განხორციელება

10. პროექტით გათვალისწინებული აქტივობების უმეტესობა შედის 1-ელ კომპონენტში. 1-ელ კომპონენტს განახორციელებს „აწარმოე საქართველოში“, ეკონომიკური განვითარების სამთავრობო სააგენტო, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში. სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევას სამი ძირითადი კომპონენტით:

- აწარმოე საქართველოში – ბიზნესის განვითარება
- აწარმოე საქართველოში – ინვესტირება საქართველოში
- აწარმოე საქართველოში – ექსპორტის მხარდაჭერა

11. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ორიენტირებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებაზე და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაზე.

12. სააგენტოს ბიზნესის განვითარების განყოფილება მიზნად ისახავს საქართველოში მეწარმეობის განვითარებას მეწარმეების მხარდაჭერით, ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობით.

13. ექსპორტის მხარდაჭერის განყოფილება ხელს უწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს საერთაშორისო ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და შიდა პროდუქციის საექსპორტო მოცულობის გაზრდის მიზნით.

14. განყოფილება „ინვესტირება საქართველოში“ ასრულებს უცხოელ ინვესტორებს და საქართველოს მთავრობას შორის მოდერატორის ფუნქციას, აწვდის ინვესტორებს სხვადასხვა სახის განახლებულ ინფორმაციას და სამთავრობო ორგანოებთან ეფექტური კომუნიკაციის საშუალებებს. ინვესტიციის განყოფილების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება, მოქმედებს როგორც „ერთ ფანჯრის“ სისტემა ინვესტორებისთვის, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიებს ინვესტირების პროცესის დაწყებამდე, ინვესტირებისას და ინვესტირების შემდეგ.

15. 1.1 ქვეკომპონენტის განსახორციელებლად, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დაიქირავებს კონტრაქტორ ორგანიზაციებს¹ მიკრო საგრანტო სქემის ფარგლებში გრანტით დაფინანსებული აქტივობების სკრინინგი ს, განაცხადის პროცესის და მონიტორინგის მიზნით. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მოახდენს პროცენტის თანადაფინანსებას და უზრუნველყოფს ნაწილობრივ გრანტიებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი შეიძლება იყოს კომერციული ბანკი, სალიზინგო კომპანია ან მიკროსაფინანსო ინსტიტუტი. 1.4 ქვეკომპონენტი ითვალისწინებს ტრენინგებს ბიზნესებისთვის, გაციფრულების და პანდემიასთან გამკლავების საკითხებში და ხელს შეუწყობს კონტენტის მიწოდებას სააგენტოს „გაუმჯობესების ჰაბებისთვის“, რომელთა მიზანია მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ბიზნეს უნარების ტრენინგების ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

16. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განხორციელებული ქვეკომპონენტი 2.1 დააფინანსებს სწრაფი გადახდის სისტემის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ინვესტიციებს და საოპერაციო ხარჯებს, ასევე ტექნიკურ დახმარებას, რათა ხელი შეუწყოს მომხმარებლების სისტემაზე წვდომას. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით მოქმედებს როგორც 2.2 ქვეკომპონენტის განხორციელების ტექნიკური ხელმძღვანელი, ხოლო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეასრულებს ფიდუციურ ფუნქციებს სამინისტროს წარმომადგენლის რანგში. მსგავსი ღონისძიებები გათვალისწინებულია 2.3 ქვეკომპონენტის განსახორციელებლად: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო იმოქმედებს როგორც ტექნიკური ხელმძღვანელი, უზრუნველყოფს რეგისტრაციის და აღსრულების რეფორმის ხელშეწყობის პასუხისმგებლობით და მოიწვევს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, იუსტიციის სამინისტროს,

¹ ეს შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა სუბიექტები, რომლებსაც გაფორმებული აქვთ კონტრაქტი მცირე გრანტების განსახორციელებლად.

ეროვნული ბანკის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების, ასევე ტექნიკური ექსპერტების მონაწილეობით. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” შეასრულებს ფიდუციურ ფუნქციებს სამინისტროს წარმომადგენლის რანგში.

17. ფინანსურ სექტორში არსებობს პროგრესი გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოების გაძლიერების კუთხით. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს ქვეყნის ყველა ფინანსური ინსტიტუტის ლიცენზირებას, რეგულირებას და ზედამხედველობას. 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა *გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობითი ანგარიშგება და პრინციპები*², რომელიც ითვალისწინებს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს, რათა ხელი შეუწყოს კომერციულ ბანკებს და სხვა საფინანსო ინსტიტუტებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინფორმაციის შესაფერისი, თანმიმდევრული და შედარებითი ფორმით წარმოდგენაში. არაერთმა ბანკმა, რომელიც მოიაზრებოდა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტად, უკვე ჩამოაყალიბა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად ან/და მიმდინარეობს მათი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შემუშავება და განახლება ეროვნული ბანკის ახალი ინსტრუქციების მიხედვით. პირველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ანგარიშის წარდგენის ვადაა 2021 წლის დასაწყისი.

4 პროექტის პოტენციური ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედება და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობა

18. პროექტის ფარგლებში გარემოზე და სოციალურ საკითხებზე ზემოქმედება ძირითადად მოსალოდნელია 1-ლი კომპონენტის ფარგლებში, რომლითაც დაფინანსდება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების აქტივობები. მე-2 და მე-3 კომპონენტებით დაფინანსდება ტექნიკური მხარდაჭერა და პროექტის მართვა და როგორც ასეთს არ ექნება ფიზიკური ზეგავლენა გარემოზე ან ადგილობრივ თემებზე და არ იქნება ასოცირებული არსებით ზემოქმედებასთან გარემოზე და სოციალურ ასპექტებზე. მე-4 კომპონენტი გააქტიურდება საგანგებო სიტუაციებში, სპეციალური დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ამ კომპონენტის ფარგლებში აქტივობების განსაზღვრა და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის და რისკის მართვის ღონისძიებები აღწერილი იქნება პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელოს სპეციალურ თავში.

19. პროექტის რომელიმე კომპონენტის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედება და სოციალური ზეგავლენა იმართება ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში აღწერილი პრინციპებით და პროცედურებით, მსოფლიო ბანკის „გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს“ და საქართველოს კანონმდებლობის მიზნების და მოთხოვნების შესაბამისად.

² https://www.nbg.gov.ge/uploads/esg/nbg_principles_on_esg_disclosure.pdf

20. პროექტის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე და სოციალურ საკითხებზე ძირითადად ასოცირდება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობასთან, რომლებიც ისარგებლებენ გრანტებით, სესხის პროცენტის თანადაფინანსებით, ან 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული გარანტიებით. რამდენადაც პროექტით დაფინანსებული კონკრეტული აქტივობები არ შეიძლება განისაზღვროს პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე, ESMF-ი ქმნის პროცესს, ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს პროექტის განხორციელების ეტაპზე გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგის, მართვის და მონიტორინგისთვის.

21. პოტენციური ზეგავლენის დიაპაზონი ფართო და მრავალფეროვანია, მათ შორისაა (არა მხოლოდ): ხმაური, მტვრის ან სუნის წარმოქმნა, ჰაერის, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება, პესტიციდები (შესაბამისი სასოფლო სამეურნეო საწარმოებისთვის), თხევადი და მყარი ნარჩენები, მათ შორის ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენები, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, სამუშაო პირობებთან დაკავშირებული რისკები, შრომის უსაფრთხოება, სამშენებლო ან სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული რისკები და სხვ. ამასთან, პროექტის ძირითადი სოციალური რისკები შეიძლება ეხებოდეს ყველა მოქალაქის, განსაკუთრებით დაუცველი და ჯგუფების შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია, ჩაერთონ და ისარგებლონ პროექტით სამართლიანად და ისარგებლონ პროექტის საჩივრების მექანიზმით. პროექტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიომრავალფეროვნებას ან/და კულტურულ მემკვიდრეობას, თუ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა განხორციელდება დაცულ ტერიტორიების ან კულტურული ძეგლების სიახლოვეს. მოხდება ამ რისკების პრევენცია ან მინიმუმამდე შემცირება ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. პროექტი არ მოახდენს გავლენას მიწის შესყიდვის, მიწათსარგებლობის შეზღუდვის ან არანებაყოფლობითი განსახლების მხრივ (აღნიშნულში არ შედის მიწის და ქონების ტრანზაქციები, რომლებიც განხორციელდება მსურველი მყიდველის-მსურველი გამყიდველის პრინციპით). ეს საკითხი მოწმდება ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში აღწერილი სკრინინგის პროცედურებით და გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების აუდიტის პროცედურებში.

22. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტს აფინანსებს მსოფლიო ბანკი და მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის მიზნები და მოთხოვნები ვრცელდება პროექტით დაფინანსებულ ყველა აქტივობაზე. ამ ნაწილში მოცემულია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) მოკლე აღწერა და მათი შესაბამისობა პროექტთან.³

³ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ : <https://www.worldbank.org/en/projects-operations/environmental-and-social-framework>

ცხრილი 1. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები და მათი შესაბამისობა პროექტთან

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი (ESS)	პროექტთან შესაბამისობა
ESS1. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზეგავლენის შეფასება და მართვა	პროექტის ყველა აქტივობა, რომელსაც პოტენციურად აქვს გავლენა გარემოზე და სოციალურ საკითხებზე (მაგ. 1-ლი კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები) დაექვემდებარება სკრინინგს, კომპლექსურ ანალიზს და მონიტორინგს სააგენტოს “აწარმოე საქართველოში”, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა საქართველოს ეროვნულ გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან და გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნებთან, როგორც აღწერილია ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო მე-V თავში. ეროვნულ კანონმდებლობასთან ან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოსთან შეუსაბამობისას, რაც საფრთხეს უქმნის გარემოს, ადამიანებს ან თემებს, მოხდება გამოსასწორებელი ზომების განსაზღვრა და მათ განხორციელებას მონიტორინგს გაუწევს სააგენტო “აწარმოე საქართველოში”, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით, საჭიროებისამებრ სხვა ეროვნული უწყებების ჩართულობით.
ESS2. შრომის და სამუშაო პირობები	ESS2 ვრცელდება პროექტის ფარგლებში ყველა უშუალო და კონტრაქტით დაქირავებულ მუშაკზე, მათ შორის პროექტის აქტივობების განხორციელებაში ჩართულ სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და სების პროექტის განხორციელების ჯგუფის თანამშრომლებზე, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლებსა და ნებისმიერ კონსულტანტზე. ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-VI თავში აღწერილი შრომის მართვის პროცედურები (საქართველოს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, მაგ., შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი), ვრცელდება პროექტის ფარგლებში ყველა პირდაპირ და კონტრაქტით დაქირავებულ მუშაკზე. პროექტის ბენეფიციარები (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები) სააგენტოსთან და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის დაფინანსების მისაღებად ასევე ვალდებული იქნებიან დაიცვან

საქართველოს კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს შორის შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია: <http://documents1.worldbank.org/curated/en/105031592550795667/pdf/Analysis-of-Gaps-between-National-Legislation-of-Georgia-and-World-Bank-Environmental-and-Social-Framework.pdf>

	<p>ეროვნული შრომის კანონმდებლობა (მათ შორის დასაქმების, სამუშაო პირობები და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები), არ დაუშვან იძულებითი და ბავშვთა შრომა და თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ საჩივრების მექანიზმი. ქვეპროექტის მნიშვნელოვანი რისკებისას, შრომის მართვის გეგმა დაემატება ეროვნულ კანონმდებლობას და გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს, სამუშაო პირობების და შრომის უსაფრთხოების მხრივ დარგისთვის შესაბამისი კარგი სამუშაო პრაქტიკის დასაწერად.</p>
<p>ESS3. რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია და მართვა</p>	<p>მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ბენეფიციართა საქმიანობაში დაბინძურებასთან და რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება პოტენციურად რელევანტურია 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტში. რისკის იდენტიფიკაციის და შემარბილებელი ზომები ინტეგრირებული იქნება სკრინინგისა და შემოწმების ღონისძიებებში ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, როგორც ეს აღწერილია ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-V თავში.</p>
<p>ESS4. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება</p>	<p>პროექტით საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე და უსაფრთხოებაზე ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის. 1.1 ქვეკომპონენტით გათვალისწინებულია მხოლოდ დაბალი რისკის აქტივობები. ჯანდაცვის და უსაფრთხოების რისკები 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში იდენტიფიცირებული და მართული იქნება სკრინინგი ს და შემოწმების პროცედურების მეშვეობით, ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს 5.2 პუნქტის შესაბამისად. პროექტის ბენეფიციარები (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები), სააგენტოსთან “აწარმოე საქართველოში” და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან საკონტრაქტო შეთანხმებებით აიღებენ ვალდებულებას მიიღონ ზომები ჯანდაცვის და უსაფრთხოების კუთხით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და თავიანთ საქმიანობაში არ დაუშვან სექსუალური ექსპლუატაცია, ძალადობა და სექსუალური შევიწროება.</p>
<p>ESS5. მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობის შეზღუდვა და არანებაყოფლობითი განსახლება</p>	<p>აქტივობები, რომლებიც იწვევს არანებაყოფლობითი განსახლებით შექმნილ ზეგავლენას, მაგ. ზემოქმედებას ნებისმიერი პირის - მფლობელის ან მოსარგებლის მიწაზე, ქონებაზე, ან საარსებო წყაროზე - პროექტის ფარგლებში არ მიიღებენ დაფინანსებას. ამ საკითხს მონიტორინგს უწევს სააგენტო “აწარმოე საქართველოში”, კონტრაქტორი ორგანიზაციები და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები, სკრინინგის და აუდიტის პროცედურებით, ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-V თავის შესაბამისად.</p>
<p>ESS6. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი</p>	<p>დაცულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი აქტივობები პროექტით არ დაფინანსდება. ბიომრავალფეროვნებაზე და ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება დაცული ტერიტორიების გარეთ მოსალოდნელი არ არის; თუმცა, ამ საკითხის მონიტორინგი იწარმოებს სკრინინგის და კომპლექსური ანალიზის პროცედურებით, როგორც ეს აღწერილია ამ</p>

მართვა	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო 5.2 პუნქტში. ბიომრავალფეროვნების რისკების გამოვლენისას, შესაბამისი აქტივობები ჩაითვლება პროექტის ფარგლებში დაფინანსების მიღების უფლების არმქონედ ან მათი მართვა მოხდება ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის მეშვეობით, რომელიც მომზადდება პროექტის ბენეფიციარის მიერ და განიხილება და დამტკიცდება სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და მსოფლიო ბანკის მიერ.
ESS7. მკვიდრი მოსახლეობა/აფრიკის საჰარის მკვიდრი ადგილობრივი თემები	ეს სტანდარტი პროექტთან მიმართებაში არ გამოიყენება.
ESS8. კულტურული მემკვიდრეობა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, მატერიალურ ან არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე პირდაპირი ზეგავლენის მქონე აქტივობები პროექტის ფარგლებში არ დაფინანსდება.
ESS9. ფინანსური შუამავლები	1.2 და 1.3 ქვეკომპონენტები ითვალისწინებს ფინანსურ შუამავლებს. გსს 9-ს შესაბამისად, პროექტში ჩართული საფინანსო ინსტიტუტები შექმნიან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებს, რაშიც სულ მცირე შედის: (i) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; (ii) ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიკაციის, შეფასების და მართვის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები; (iii) ორგანიზაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია; ქვეპროექტების და პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგი და მიმოხილვა; და (iv) გარე საკომუნიკაციო მექანიზმი. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი ს და რისკის მართვის პროცედურების ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს 5.2 პუნქტში.
ESS10. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გაცემა	პროექტის განმახორციელებელი სუბიექტები, ასევე კონტრაქტორი ორგანიზაციები და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც მონაწილეობენ ბენეფიციარებისთვის თანხების გამოყოფაში, უზრუნველყოფენ გამჭვირვალე ინფორმაციას და სისტემატურ კონტაქტს იქონიებენ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყონ პროექტში მათი ინფორმირებული და ეფექტური ჩართულობა და მონაწილეობა, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის დროულად, გასაგებად, სათანადო ფორმით და ფორმატში მიწოდებას. დაინტერესებულ მხარეებში შეიძლება შედიოდნენ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები. პოტენციური დაინტერესებული მხარეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების ჩამონათვალი აღწერილია პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში (დაინტერესებული

	<p>მხარეების ჩართულობის გეგმა) და შეჯამებულია წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს VIII თავში.</p> <p>პროექტის ფარგლებში სააგენტო “აწარმოე საქართველოში” შეიმუშავებს საჩივრების მექანიზმს. კონტრაქტორი ორგანიზაციები ჩაერთვებიან ადგილობრივ დონეზე საჩივრების მექანიზმების მართვაში, 1.1 ქვეკომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში. საჩივრების მისაღებად და განსახილველად მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები შეიმუშავებენ გარე კომუნიკაციის მექანიზმებს, კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ნაწილის სახით. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განსაზღვრავს საჩივრების მექანიზმის საკითხებზე საკონტაქტო პირს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მექანიზმის საერთო დაგეგმვაზე, მართვაზე, მონიტორინგზე, ანგარიშგებაზე და პერსონალის ტრენინგზე.</p>
--	--

23. ESS 9-ის შესაბამისად, პროექტით დაფინანსებული ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთა საქმიანობა შედის დაბალი ან ზომიერი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიაში, მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, შეასრულებენ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასევე პროექტით გათვალისწინებულ გამონაკლისებს. თუ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა შედის არსებითი რისკის კატეგორიაში, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვა განხორციელდება პროექტის ESMF-ის მოთხოვნების და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სისტემების მოთხოვნების შესაბამისად. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების აქტივობები, რომლებიც შედის მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიაში, პროექტით არ დაფინანსდება. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის შეიმუშავებული ESS 9-ის მოთხოვნები უნდა შეასრულოს პროექტში მონაწილე ყველა კომერციულმა ბანკმა, სალიზინგო კომპანიამ და მიკროსაფინანსო ინსტიტუტმა. სააგენტოსთვის „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავებული ESS 2-ის და ESS 10-ის მოთხოვნები მოქმედებს პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში.

24. მე-V თავში უფრო დეტალურადაა აღწერილი პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მეთოდები, ინსტიტუციური ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რისკების სკრინინგი და კატეგორიებად დაყოფა.

5 პროექტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მეთოდი

25. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიმართ პროექტის მიდგომა პროპორციულია, რაც ნიშნავს, რომ მარტივი პროცედურები გამოყენებული იქნება დაბალი და ზომიერი რისკის აქტივობებისთვის, ხოლო მეტი ძალისხმევა მოხმარდება არსებითი რისკის კატეგორიაში შემავალი ოპერაციების მართვას. როგორც პროექტის

განმახორციელებელი უწყება (1-ლი კომპონენტი), სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა პროექტით დაფინანსებული აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვაზე და კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების სავალდებულო ზედამხედველობაზე, რომლებიც განმახორციელებენ პროექტით დაფინანსებული აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების სკრინინგს და მონიტორინგს. პროექტის მიზნებისთვის სააგენტო “აწარმოე საქართველოში” შეიმუშავებს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებს. ამ სისტემის ფარგლებში, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” უზრუნველყოფს, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებს ასევე შემუშავებული ქონდეთ შესაფერისი ინსტიტუციური ზომები და პროცედურები საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის და პროექტის შესაბამისი მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესასრულებლად.

26. პროექტის 1.1, 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით განსახორციელებელი აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის განსხვავებული დონეების გამო, ეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო ამ კომპონენტებით გათვალისწინებული აქტივობებისთვის ითვალისწინებს დიფერენცირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებს.

27. ქვეკომპონენტი 1.1 შეიცავს ყველაზე ნაკლებ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ქვეკომპონენტი უზრუნველყოფს 30,000 ლარამდე (დაახლოებით 10,000 აშშ დოლარი) მოცულობის გრანტებს მოქმედი ან ახალი საწარმოების საოპერაციო ხარჯების, გაფართოების ან ხელახალი აღჭურვის მხარდასაჭერად. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ქვეკომპონენტის ადმინისტრირებას ნაწილობრივ გადასცემს კონტრაქტით დაქირავებულ კონტრაქტორ ორგანიზაციებს. პირველ რიგში, აპლიკანტები განაცხადის ფაზაში უპასუხებენ 5 კითხვას (ეტაპი 1, პროცესის დიაგრამა 1), რაც გადამოწმდება ინსპექტირების ფაზაში (ეტაპი 6, პროცესის დიაგრამა 1). სააგენტო “აწარმოე საქართველოში” და კონტრაქტორი ორგანიზაციები მოახდენენ შემოსული საგრანტო განაცხადების რისკის სკრინინგს, გაითვალისწინებენ სკრინინგის შედეგებს გრანტის დამტკიცების გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ზედამხედველობას გაუწევენ გრანტის მიმღებთა გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას და რეგულარულად მოამზადებენ გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ანგარიშებს მიკროგრანტების სქემის ფარგლებში. სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მიერ გამოყოფილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების პერსონალი განიხილავს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ წამოჭრილ საკითხებს გრანტის მოთხოვნის დამტკიცებამდე და განახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას აქტივობებზე, მათ შორის დამტკიცების შემდგომ შემოწმებებს, რათა დაადასტუროს სკრინინგი ს და რისკის მართვის ღონისძიებების შესრულება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს შესაბამისად.

სურათი 1: მიკროგრანტები, პროცესის დიაგრამა



28. ქვეკომპონენტები 1.2 და 1.3 განხორციელდება კომერციული ბანკების, სალიზინგო კომპანიების და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ჩართულობით, რომლებიც პროექტის ფარგლებში მოიხსენიებიან როგორც „მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები“. 1.2 ქვეკომპონენტი ითვალისწინებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების 16000 აშშ დოლარიდან 3.3 მილიონ აშშ დოლარამდე სესხების პროცენტის თანადაფინანსებას. 1.3 ქვეკომპონენტით დაფინანსდება მთავრობის მიერ შემუშავებული საკრედიტო გარანტიის მექანიზმი. მოსალოდნელია, რომ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში, სესხების მოცულობა იქნება 16,000 აშშ დოლარიდან 1,6 მილიონ აშშ დოლარამდე, სესხის საშუალო მოცულობა - 280,000 აშშ დოლარი. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით დასაფინანსებელი აქტივობების უფრო ფართო მასშტაბის და მრავალმხრივობის გამო, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგი და მართვა ასევე უფრო მრავალმხრივი და რთული იქნება. მსოფლიო ბანკის ESS 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ვალდებული არიან შექმნან ან/და შეინარჩუნონ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ფუნქციური სისტემები. ეს მოთხოვნა ვრცელდება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პორტფელის პროექტით მხარდაჭერილ ნაწილებზე. თუმცა, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებმა შესაძლოა აირჩიონ კორპორატიულ დონეზე გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შექმნა ან გაუმჯობესება. ეს უკანასკნელი შესაბამისობაში უნდა იყოს სეზ-ის ხელმძღვანელობით საქართველოში საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკის მართვის გაუმჯობესების ღონისძიებებთან და სეზ-ის მიერ 2020 წელს მიღებულ

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით საკითხებზე ანგარიშგების ახალ პრინციპებთან.⁴

29. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ქვემოთ მოცემული ქვეთავები შეიცავს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელებული პროექტის 1-ლი კომპონენტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მოთხოვნების დეტალებს.

5.1 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 1.1 ქვეკომპონენტში

30. 1.1 ქვეკომპონენტის მიხედვით, პროექტით მიკრო და მცირე მეწარმეებს გამოეყოფათ 30,000 ლარამდე (დაახლოებით 10,000 აშშ დოლარი) მოცულობის გრანტები. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ კონკურენციის პრინციპით შეარჩევს და დაიქირავებს სამ სხვადასხვა კონტრაქტორ ორგანიზაციებს მიკროგრანტების სქემის ძირითადი ეტაპების ადმინისტრირებისთვის (ბიზნეს იდეებისა და გეგმების შეფასება, ტრენინგები, ადგილზე ინსპექტირება და მონიტორინგი). სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციები პასუხისმგებელი იქნებიან: (i) უზრუნველყონ, რომ საგრანტო განაცხადები შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას საწარმოს შესახებ, რომელსაც სურს გრანტის მიღება და საგრანტო დაფინანსებისთვის გათვალისწინებული აქტივობების შესახებ; (ii) განაცხადების გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ჩატარებაზე ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოზე (დანართი 2) თანდართული კითხვარის მეშვეობით, რომელსაც ავსებს განმცხადებელი და მოწმდება გრანტის გაცემამდე ჩატარებული ინსპექტირებისას; (iii) გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმების შედეგების ინტეგრირებაზე გრანტის გაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში; (iv) გრანტით დაფინანსებული პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ზედამხედველობაზე გრანტის ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების და ფიზიკური შემოწმების მეშვეობით; და (v) საგრანტო სქემის გარემოსდაცვითი და სოციალური ეფექტურობის ანგარიშგებაზე, ექვს თვეში ერთხელ (შესრულების სხვა ასპექტებთან ერთად) და აუდიტზე, რომელიც ტარდება გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების შემოწმების მიზნით.

31. შეთანხმებულია, რომ 1.1 ქვეკომპონენტით დაფინანსდება მხოლოდ ის აქტივობები, რომლებიც შედის დაბალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიაში. ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგს ჩაატარებენ კონტრაქტორი ორგანიზაციები ან სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შესაბამისი პერსონალი, სააგენტოს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ხელმძღვანელობით, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი

⁴ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ

https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/roadmap/sustainable_finance_roadmap_eng.pdf და

https://www.nbg.gov.ge/uploads/esg/nbg_principles_on_esg_disclosure.pdf

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს დართული კითხვარის მეშვეობით (იხ. დანართი 2), რომელიც მოწმდება გრანტის გაცემამდე ჩატარებული ინსპექტირების დროს. სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” გარემოსდაცვითი და სოციალური პერსონალი განიხილავს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებულ პრობლემებს გრანტზე მოთხოვნების დამტკიცებამდე და განახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას, მათ შორის დამტკიცების შემდგომ ინსპექტირებას, სკრინინგის და რისკის მართვის ღონისძიებების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს შესაბამისად შესრულების შესამოწმებლად.

32. სკრინინგი გულისხმობს განაცხადების გადარჩევას, რომლებითაც მოთხოვნილია საგრანტო დაფინანსება შემდეგი სახის აქტივობებისთვის:

- (i) **მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისების სიაში შეტანილი აქტივობები:** ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში (იხ. დანართი 1) ჩამოთვლილი აქტივობები, როგორც წესი, არ ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ;
- (ii) **აქტივობები, რომლებიც იწვევს არანებაყოფლობით განსახლებას:** არანებაყოფლობითი განსახლებით გამოწვეული ზემოქმედება შეიძლება მოიცავდეს მუდმივ ან დროებით შეზღუდვებს მიწაზე, აქტივებზე, ან საარსებო წყაროებზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისთვის (მფლობელისთვის ან მოსარგებლისთვის). სკრინინგით უნდა დადასტურდეს, რომ მთელი მიწა და ქონება, სადაც განხორციელდება ბიზნეს აქტივობა, სრულად ეკუთვნის გრანტის ბენეფიციარს და მისით არ სარგებლობს მესამე მხარე, რომელზეც შეიძლება პირდაპირ და უარყოფითად იმოქმედოს ბენეფიციარის საქმიანობამ;
- (iii) **საწარმოს საქმიანობა, რომელიც სანქცირებულია ეროვნული გარემოსდაცვითი ან/და სოციალური კანონმდებლობის შეუსრულებლობისთვის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმო დაჯარიმდა მხოლოდ ერთხელ 500 ლარის ტოლი ან ნაკლები ოდენობით:** კონტრაქტორი ორგანიზაციები გრანტის პოტენციური ბენეფიციარისგან მოითხოვენ ხელმოწერილ დასტურს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მას არ აქვს ვალდებულებების დარღვევის ან სახელმწიფო გარემოსდაცვითი ან სოციალური ორგანოების მხრიდან დაჯარიმების ისტორია, ან რომ არ ყოფილან დაჯარიმებულნი ერთზე მეტჯერ 500 ლარით ან ნაკლები ოდენობით
- (iv) **საქმიანობა, რომელზეც გრანტის აპლიკანტი არ ფლობს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებართვებს ან ლიცენზიებს:** თუ განაცხადს არ ახლავს საჭირო ნებართვების დამადასტურებელი მტკიცებულებები, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ეს მტკიცებულებები; წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ დაკმაყოფილდება;
- (v) **მუშაკებზე და საზოგადოებაზე და შრომის უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების რისკების მქონე აქტივობები:** აღნიშნულში შედის აქტივობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ სამუშაო პირობებზე და მუშაკთა ჯანმრთელობაზე და არ უშვებს


ბავშვთა უკანონო ან იძულებით შრომას. ასევე საქმიანობა, რომელიც შეიძლება მუშაკების და საზოგადოებისთვის იყოს სახიფათო და ჯანმრთელობისთვის საზიანო; და

(vi) **დაცულ ტერიტორიაზე ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე განსახორციელებელი აქტივობები:** აქტივობები ტერიტორიებზე, რომლებიც გათვალისწინებულია „დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ადგენს დაცულ ლანდშაფტებს და ბიოსფერულ რეზერვებს, ზურმუხტის ქსელის⁵ ობიექტებს და აქტივობებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შიგნით ან მათ უშუალო სიახლოვეს, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ამჟამად დასახლებული ისტორიული დასახლებების გამოკლებით. დაცულ ლანდშაფტებს და ბიოსფეროს რეზერვებში მდებარე ისტორიულ დასახლებებში აქტივობები შეიძლება მხარდაჭერილი იყოს პროექტით, თუ არ ითვალისწინებს ახალ მშენებლობას, არსებული შენობების გაფართოებას, ან შენობების ექსტერიერის შეცვლას.


33. აქტივობები, რომლებმაც გაიარეს ზემოთ აღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი, განხორციელდება საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის შესაბამისად. ბენეფიციარებსა და სააგენტო „აწარმოე საქართველოში“-ს შორის გასაფორმებელი საგრანტო კონტრაქტებში უნდა დადასტურდეს, რომ ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები შეასრულებენ საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მარეგულირებელი კანონის ყველა მოთხოვნას, მათ შორის შრომის კოდექსის და შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნებს.

⁵ ზურმუხტის ქსელი წარმოადგენს ეკოლოგიურ ქსელს, რომელშიც შედის სპეციალური კონსერვაციის ინტერესის ზონები. პროექტის განხორციელება დაიწყო ევროპის საბჭომ, ბერნის კონვენციის ფარგლებში ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი საარსებო არეალების დაცვის პროგრამის ნაწილის სახით. დღეისათვის საქართველოში 46 ზურმუხტის ქსელის ობიექტია.

სურათი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი გრანტზე განმცხადებლებისთვის - ახალი განაცხადები



სურათი 3. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი გრანტზე განმცხადებლებისთვის - მიმდინარე განაცხადები



34. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” კონტრაქტორი ორგანიზაციებისგან, რომლებიც მართავენ საგრანტო სქემას 1-ლი ქვეკომპონენტის ფარგლებში, მოითხოვს კომპლექსურ მოქმედებებს საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში. კონტრაქტორ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ და განახორციელონ საჩივრების მართვის მექანიზმი, პროექტის საჩივრების მექანიზმის შემადგენელი ნაწილის სახით. პროექტის საჩივრების მართვის მექანიზმი აღწერილია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და

რეაბილიტაციის პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში, ასევე ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-VII თავში.

35. საჩივრების მართვის მექანიზმით, ადგილობრივ თემებს, რომლებზეც გავლენას ახდენს გრანტით დაფინანსებული აქტივობების განხორციელება, შეეძლება დააფიქსირონ პრეტენზიები, აქტივობებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემთხვევაში (მაგ. ხმაურის, სუნის, ვიბრაციის, ნარჩენების და ა.შ. გამოწვეული დისკომფორტი). კონტრაქტორი ორგანიზაციები მიღებისთანავე დააფიქსირებენ საჩივარს და შემდგომ დაგვარად შეეცდებიან პრობლემის გადაწყვეტას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დახმარებით. თუ საჩივარი ვერ გადაწყდება ადგილობრივ დონეზე, კონტრაქტორი ორგანიზაციები დაუკავშირდებიან საჩივრების მართვის ცენტრს სააგენტო “აწარმოე საქართველოში”, პრობლემის გადაწყვეტაში დახმარების მისაღებად. საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახდეს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტის, ან სხვა შესაბამისი უწყების წარმომადგენლების ადგილზე ვიზიტები და მეთოდური ინსტრუქტაჟი. როგორც კონტრაქტორი ორგანიზაცია, ასევე სააგენტო “აწარმოე საქართველოში” აწარმოებენ საჩივრების და მათი სტატუსის/გადაწყვეტის დეტალურ აღრიცხვას. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ამ საკითხზე მსოფლიო ბანკს ანგარიშს წარუდგენს ექვს თვეში ერთხელ.

36. კონტრაქტორი ორგანიზაციები კონტრაქტით ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 48 საათისა) აცნობონ სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ან/და გრანტის მიმღებებთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა და მოგვიანებით წარმოადგინონ დამატებითი გადამოწმებული ინფორმაცია ინციდენტის შესახებ, სააგენტოს მოთხოვნისამებრ. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მიაწვდის მსოფლიო ბანკს.

37. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” კონტრაქტორი ორგანიზაციების ზემოაღნიშნულ პასუხისმგებლობებს დააფიქსირებს საპროექტო დავალებებში, როგორც ხელშეკრულებით სავალდებულოს. კონტრაქტებში ასევე დაფიქსირდება კონტრაქტორების თანამშრომლების მიერ პროექტის შრომის მართვის პროცედურების, ასევე შრომის კოდექსის და შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის დაცვის ვალდებულება. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” და კონტრაქტორი ორგანიზაციები პერსონალს მოამზადებენ სკრინინგი ს კითხვარის სწორად გამოყენების, ბენეფიციარების საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის, საჩივრების მექანიზმის, მონიტორინგის და ანგარიშგების საკითხებში. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” და

კონტრაქტორი ორგანიზაციები შეიტანენ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს და მოთხოვნებს პოტენციური ბენეფიციარებისთვის ჩატარებულ ცნობიერების ასამაღლებელ ტრენინგებში. რეტროაქტიული დაფინანსების შემთხვევაში, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ან კონტრაქტორი ორგანიზაციები, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ბენეფიციარებთან ერთად, ჩაატარებენ აქტივობის დამატებით გარემოსდაცვით და სოციალურ სკრინინგს, ზემოთ აღწერილი პროცედურის შესაბამისად.


5.2 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში

38. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” უზრუნველყოფს პროცენტის და ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიების თანადაფინანსებას კომერციული ბანკების, სალიზინგო კომპანიების და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით. ამ ქვეკომპონენტებს შეესაბამება მსოფლიო ბანკის N9 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი (ESS). 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების მიზნებისთვის, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” არის ფინანსური შუამავალი, ხოლო ბანკები, სალიზინგო კომპანიები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები მონაწილე საფინანსო შუამავლები (მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები). მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროექტის განხორციელებაში ჩართული ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ვალდებულია შეიმუშაოს, დაწეროს, ან განაახლოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კორპორატიული სისტემები, რაშიც შედის: (i) გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; (ii) ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიკაციის, შეფასების და მართვის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები; (iii) ორგანიზაციული შესაძლებლობები და კომპეტენცია; ქვეპროექტების და პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგი და განხილვა; და (iv) გარე საკომუნიკაციო მექანიზმი.

5.2.1 პოტენციური საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობა

39. პოტენციურ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შემუშავებული უნდა ქონდეთ შრომის მართვის შესაბამისი პროცედურები, მათ შორის სამუშაო და დასაქმების პირობებთან, დისკრიმინაციის გამორიცხვასთან და თანაბარ შესაძლებლობებთან, საჩივრების მართვის მექანიზმებთან და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცედურები. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენელი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვაზე. პასუხისმგებელი პირი: გამოყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების ყოველდღიურ განხორციელებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს (თანამშრომლებს); უზრუნველყოფს საკმარისი რესურსების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის და ტრენინგისთვის და უზრუნველყოფს ტექნიკური ცოდნის, შიდა თუ გარე ექსპერტთა მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას შემოწმებების ჩატარების და ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვისთვის.

სურათი 4. პოტენციური მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები. განაცხადის გაკეთების პროცესი



40. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განიხილავს და გადაამოწმებს პოტენციური მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ხარისხს, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროექტის შემოსავლების მათი მეშვეობით განაწილების კონტრაქტების გაფორმებამდე და უზრუნველყოფს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების მუშაობას 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. მსოფლიო ბანკი ასევე განიხილავს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებს, რათა დარწმუნდეს ESS-9-ის მოთხოვნებთან მათ სრულ შესაბამისობაში. კომერციულ ბანკებს, სალიზინგო კომპანიებს და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, რომლებსაც არ აქვთ, თუმცა სურთ შეიმუშაონ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები, შეეთავაზებათ ტექნიკური მხარდაჭერა ამ სისტემების შემუშავებაში ან/და განახლებაში, რის შემდეგაც შეეძლებათ ისარგებლონ პროექტის შემოსავლებით.

41. პროექტის ფარგლებში ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ვალდებულია შეიმუშაოს მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები. ESS-9-ის შესაბამისად, დაბალი და ზომიერი რისკის კატეგორიაში შემავალი ქვეპროექტებისთვის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (კონტრაქტი 1) შეიძლება იმართებოდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიაში შემავალი ქვეპროექტები უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნებს. თუ რომელიმე მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები

განაახლებს თავის მოქმედ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემას, რათა დააკმაყოფილოს მსოფლიო ბანკის მოთხოვნები არსებითი რისკის კატეგორიაში შემავალი ქვეპროექტების დაფინანსების კუთხით, მათ შეუძლიათ დააფინანსონ მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიაში შემავალი ქვეპროექტები პროექტის შემოსავლებით (კონტრაქტი 2). ეს პირობა უნდა დაფიქსირდეს სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში.

42. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს რეგულარულად განსაზღვრონ, შეაფასონ, მართონ და აკონტროლონ დაფინანსებული ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებს და ინსტიტუციური მოწყობის მოდელებს, რომლებიც მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს სათანადოდ მართონ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება. აუცილებელ პროცედურებში შედის:

- ყველა ქვეპროექტის სკრინინგი, განხილვა და კატეგორიზაცია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და პოტენციური ზემოქმედების მიხედვით;
- ყველა ქვეპროექტის განხორციელების უზრუნველყოფა შესაბამისი ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონების და რეგულაციების და მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სიის შესაბამისად;
- უზრუნველყოფა, რომ ქვეპროექტები, რომლებიც იწვევენ არსებით რისკებს ან ზემოქმედებას გარემოზე, საზოგადოების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, შრომის და სამუშაო პირობებზე, ბიომრავალფეროვნებაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე, დაიცავენ შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მოთხოვნებს;
- მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების და მსესხებელს შორის გაფორმებულ შეთანხმებებში გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნის დაფიქსირება ქვეპროექტებზე, რომლებიც იწვევს მნიშვნელოვან რისკებს გარემოს, საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, შრომის და სამუშაო პირობების, ბიომრავალფეროვნების და კულტურული მემკვიდრეობისთვის;
- ქვეპროექტების ფარგლებში გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ზედამხედველობა, პრობლემების იდენტიფიცირება და მსესხებლებთან მუშაობა მათ გადასაწყვეტად, ქვეპროექტების რისკის დონის შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირება და დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრა, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს რისკის დონის გაზრდის შემთხვევაში;
- ქვეპროექტის პორტფელზე გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის აღრიცხვის წარმოება და სააგენტოსთვის “აწარმოე საქართველოში” გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის ანგარიშების რეგულარულად წარდგენა.

5.2.2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებისთვის

43. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით გათვალისწინებული ქვეპროექტები შემოწმდება შესაბამისი მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პერსონალის (გარემოს და სოციალური საკითხების ექსპერტების) მიერ. ამასთან, გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი სააგენტოში “აწარმოე საქართველოში” აწარმოებს პერიოდულ მონიტორინგს და ზედამხედველობას და განიხილავს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ წარდგენილ ანგარიშებს, რათა უზრუნველყოს სკრინინგი ს და რისკის მართვის განხორციელება ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმის შესაბამისად. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” მსოფლიო ბანკს წარუდგენს ექვსი თვის ანგარიშებს, მათ შორის ინფორმაციას გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით გაწეული სამუშაოს შესახებ. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ყველა ქვეპროექტის წინასწარ განხილვას დაწყებიდან ექვსი თვის ვადაში, რა დროსაც ბანკი და სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განიხილავენ ზოგიერთი, უმეტესი ან ყველა ქვეპროექტის განხორციელების შემდგომ განხილვაზე გადასვლის შესაძლებლობას.

44. ქვეპროექტის სკრინინგი იწყება მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სიაში არსებული აქტივობის გაფილტვრით. ამასთან, დაიბლოკება იმ საწარმოების მიერ განხორციელებული ქვეპროექტები, რომლებიც არ ფლობენ ეროვნული კანონმდებლობის ქვეპროექტით გათვალისწინებული საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიას/ნებართვას, ან რომლებიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სანქცირებულია საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობის დარღვევის გამო 500 ლარით ან ნაკლები ოდენობით, ან სანქცირებული იქნა ერთზე მეტჯერ (მიუხედავად ჯარიმის ოდენობისა) თუ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სესხზე განმცხადებელს ესაჭიროება გარემოსდაცვითი შემოწმების დადებითი დასკვნა (გარემოსდაცვითი ნებართვა), თუმცა ჯერ არ აქვს მიღებული, მან უნდა წარმოადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმდინარეობის დამადასტურებელი საბუთი, ან გარემოს ეროვნულ სააგენტოსთვის საექსპერტო დასკვნისთვის წარდგენის დამადასტურებელი საბუთი. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების პროექტის რესურსი არ შეიძლება გამოეყოს ასეთ ქვეპროექტს, სანამ წარმოდგენილი არ იქნება გარემოსდაცვითი შემოწმების დადებითი დასკვნა (ნებართვა), თუმცა შესაძლებელია რეტროაქტიული დაფინანსების მექანიზმის გამოყენება.

45. საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართში ჩამოთვლილი აქტივობები (ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს დანართი 3) შედის მაღალი რისკის კატეგორიაში და მათზე არ ვრცელდება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული მხარდაჭერა.

46. საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-II დანართში ჩამოთვლილი აქტივობები (იხ. ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს დანართი 4) სავარაუდოდ შევა არსებითი რისკის კატეგორიაში და მიიღებს პროექტით


გათვალისწინებულ მხარდაჭერას იმ პირობით, თუ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა გახორციელდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს შესაბამისად. ეს აისახება სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში (კონტრაქტი 2). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი იძლევა თავისუფალ შესაძლებლობას გადაწყდეს, საჭიროებს თუ არა ეს აქტივობები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ნებართვის) გაცემას გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ. თუ გზშ საჭიროა მოქმედი კანონმდებლობით, აუცილებელია მისი ჩატარება და მსესხებელს უნდა ქონდეს გარემოსდაცვითი დასკვნა, რათა პროექტის ფარგლებში მიიღოს მხარდაჭერა. ალტერნატივის სახით, მსესხებელს უნდა ქონდეს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა, რომელშიც ფიქსირდება, რომ გზშ-ე არ არის საჭირო ქვეპროექტთან დაკავშირებული უმნიშვნელო რისკების და პოტენციური ზემოქმედების გამო. აქტივობები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის არც I და არც II დანართში, არ საჭიროებს გზშ-ს და გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ რაიმე ნებართვის გაცემას.

47. აქტივობები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი კოდექსის I და II დანართებში, სავარაუდოდ დაბალი ან საშუალო რისკის შემცველი იქნება. ეს საკითხი გადამოწმდება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტის წინასწარი განხილვისას. მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროექტით მხარდაჭერას მიიღებს მხოლოდ დაბალი და საშუალო რისკის ქვეპროექტები (კონტრაქტი 1), ხოლო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები შეაგროვებენ ცოდნას და გამოცდილებას მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნების დაცვის კუთხით და შესაბამისად შეძლებენ დააფინანსონ მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიის აქტივობები. უფრო მაღალი რისკის კატეგორიაში შემავალი განაცხადები შეიძლება დაფინანსდეს სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მიერ, დაფინანსების სხვა წყაროებიდან. სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და მსოფლიო ბანკის მიერ პროექტის განხორციელების განხილვის შემდეგ (პირველი ორი წლის განმავლობაში) და სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებში რისკის სკრინინგი ს მექანიზმის გაძლიერების საფუძველზე, პროექტით შეიძლება დაფინანსდეს მნიშვნელოვანი რისკის და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტები (კონტრაქტი 2), რათა საბოლოო ჯამში ორი კონტრაქტი (კონტრაქტი 1 და კონტრაქტი 2) გაერთიანდეს ერთ კონტრაქტში.

48. კომერციული ბანკების უმეტესობის მიერ ამჟამად გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები ითვალისწინებს სესხების რისკის კლასიფიკაციის სამ კატეგორიას - მაღალს, საშუალოს და დაბალს. ზოგიერთი ბანკი არ იყენებს რისკების კლასიფიკაციას გარკვეული სესხებზე გარკვეული მოცულობის ქვემოთ. ამასთან, ხშირია რისკის კატეგორიების მიკუთვნება სხვადასხვა ტიპის საქმიანობაზე/დარგებზე, სესხის

განაცხადების რისკების ინდივიდუალური შეფასების ნაცვლად. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები გააგრძელებენ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების გამოყენებას დაბალი და საშუალო რისკის ქვეპროექტების სკრინინგი ს და განხორციელებისას (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს 45-ე, 46-ე და 47-ე პუნქტების შესაბამისად), იმ პირობით, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები დააკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის სხვა ფუნდამენტურ მოთხოვნებს და ეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო გამოყენებული იქნება მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიის ოპერაციების გაფილტვრისთვის (ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს შესაბამისად). მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შესაძლოა მოუწიოთ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების განახლება უფრო სარისკო, არსებითი რისკის კატეგორიის ქვეპროექტების დასაფინანსებლად, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს სკრინინგი ს მოთხოვნების შესაბამისად და ასევე გამოიყენონ ეროვნული სტანდარტები თავიანთი პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვისთვის, ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს N1 ცხრილის შესაბამისად.

სურთი 4. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების სქემა



49. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ პროექტის შემოსავლები მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიის ქვეპროექტებში (კონტრაქტი 2), მოახდენენ განაცხადების საწყის შემოწმებას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I და II დანართების მიხედვით და შემდგომ სკრინინგს კონკრეტული ტიპის რისკებისთვის, ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოზე თანდართული საკონტროლო სიის მეშვეობით (იხ. დანართი 5), რათა დაადგინონ, რა სახის შემარბილებელი ზომები უნდა გატარდეს გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს და 2020 წელს⁶ მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებულ ეროვნულ გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს შორის არსებული ხარვეზების ანალიზზე დაყრდნობით, თუ გამოვლინდება, რომ ქვეპროექტი შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, შრომის და სამუშაო პირობების, ბიომრავალფეროვნების ან კულტურული მემკვიდრეობის მხრივ, უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად სავარაუდოდ საჭირო იქნება შემდეგი დამატებითი ინფორმაცია და ზომები:

- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-6 დანართში მოცემული ნიმუშის მეშვეობით, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული გზშ-ს დასკვნის საფუძველზე (ESS 1); სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ანალოგიურად შესრულების უზრუნველყოფა;
- ESS 2: პერსონალისთვის საჩივრების მართვის მექანიზმი შემუშავება; სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების წესების მკაცრად დაცვა; დადგენილი სამუშაო საათების, ხელფასის გადახდის გრაფიკის, სამუშაო და დასვენების საათების, მუშაკთა დასვენების დღეების, ზეგანაკვეთური სამუშაოს წესების მკაცრად დაცვა; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ოპერაციებში 16-დან 18 წლამდე პირების დასაქმების შემთხვევებში, დამსაქმებელმა უნდა ჩაატაროს რისკის შეფასება, რათა დარწმუნდეს, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის სახიფათო და არ უშლის ხელს განათლებას, ფიზიკურ ან ემოციურ განვითარებას;
- ESS 3: წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე ქვეპროექტების შემთხვევაში, წყლის დეტალური ბალანსის შემუშავება, მონიტორინგი და ანგარიშგება და ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გათვალისწინება; სათბურის აირების მაღალი ემისიის მქონე პროექტებისთვის, სათბურის აირების ემისიის შეფასება და მონიტორინგი, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობის მიხედვით (ESS 3);⁷

⁶ იხილეთ <http://documents1.worldbank.org/curated/en/105031592550795667/pdf/Analysis-of-Gaps-between-National-Legislation-of-Georgia-and-World-Bank-Environmental-and-Social-Framework.pdf> - საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს შეუსაბამობების ანალიზი

⁷ მეთოდოლოგიური მხარდაჭერა შეიძლება გაწიოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

- ESS 4: ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებამდე საგზაო მოძრაობის მართვა; შემოთავაზებულ ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების (ცუდი ამინდი და სავარაუდო სტიქიური მოვლენები) გათვალისწინება და შერბილება; მოსახლეობისთვის ეკოსისტემის სერვისების მიწოდებაზე ზემოქმედების განხილვა და შერბილება; ინფრასტრუქტურაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის); ქვეპროექტის ობიექტებზე უსაფრთხოების პერსონალის გამოყენების მკაცრი კონტროლი (გსს 4); გარემოსდაცვითი და სოციალური ქცევის კოდექსის შემუშავება და დაცვა (ქცევის კოდექსის ძირითადი ელემენტები იხილეთ N 6 დანართში) და ყველა კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის მიერ ქცევის კოდექსის თანაბრად დაცვის უზრუნველყოფა;
- პროექტში დასაქმებულ პირებთან ან თემებთან დაკავშირებული ინციდენტების მოხსენების და მოკვლევის პროცედურის შემუშავება, მათ შორის ძირეული მიზეზების ანალიზის მეთოდების და მომავალში მსგავსი ინციდენტების პრევენციისთვის მაკორექტირებელი ზომების შემუშავება და განხორციელება (ESS 2; ESS 4);
- ESS 6: ბუნებრივი გარემოს კატეგორიზაცია ტრანსფორმირებულ, ბუნებრივ და კრიტიკულ გარემოებად; დემონსტრირება, თუ როგორ არის დაცული მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საქმიანობის განხორციელება კრიტიკულ ბუნებრივ გარემოში; ეკოსისტემის სერვისების საიმედო მიწოდებისთვის ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ზომების მიღება (ESS 6);
- ESS 8: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (მატერიალურ აქტივებთან ერთად) და კულტურული მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ მახასიათებლებზე ზემოქმედების გათვალისწინება; ადგილობრივი თემების მიერ კულტურული ობიექტებით სარგებლობის პატივისცემა და ამ ობიექტებზე წვდომის შენარჩუნება; კულტურული მემკვიდრეობის კომერციული გამოყენების სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა ქვეპროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეების წეს-ჩვეულებებთან და ტრადიციებთან შესაბამისად (გსს 8).

51. *მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ვალდებული არიან აწარმოონ მსესხებლების გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით მუშაობის მონიტორინგი ქვეპროექტების რისკის დონის პროპორციულად, გამოავლინონ გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გაზარდონ ქვეპროექტების რისკი, მოსთხოვონ მსესხებლებს დამატებითი შემარბილებელი ზომების მიღება, ქვეპროექტის გაზრდილი რისკის მიხედვით, აღრიცხონ ქვეპროექტის პორტფელის მართვაზე გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტები და რეგულარულად წარუდგინონ ანგარიში სააგენტოს “აწარმოე საქართველოში”.*

ცხრილი 1. რისკების კატეგორია და კონტრაქტის სახეობები

რისკის კლასიფიკაცია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მიხედვით	დაბალი / საშუალო	არსებითი (დიდი ალბათობით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი II)	მაღალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი I)
<p>კონტრაქტი #1 მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა; მსოფლიო ბანკი არ აფინანსებს არსებითი / მაღალი რისკის პროექტებს</p>	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სია • მოქმედებს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა • არ არის საჭირო ნებართვები • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარ განხილვა • შეუძლია მიიღოს მსოფლიო ბანკის დაფინანსება • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი აწარმოებს გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტის მონიტორინგს და ანგარიშგებას 	<ul style="list-style-type: none"> • ვერ იღებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებას • სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განიხილავს სესხის შეთავაზებას დაფინანსების ალტერნატიული წყაროთი 	<ul style="list-style-type: none"> • ვერ იღებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებას • სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განიხილავს სესხის შეთავაზებას დაფინანსების ალტერნატიული წყაროთი
<p>კონტრაქტი #2 მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ</p>	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სია • მოქმედებს გარემოსდაცვითი და სოციალური 	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სია • სკრინინგი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I 	<ul style="list-style-type: none"> • ვერ იღებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებას • სააგენტო “აწარმოე

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა; მსოფლიო ბანკი აფინანსებს არსებითი რისკის მქონე პროექტებს</p>	<p>საკითხების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არ არის საჭირო ნებართვები • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარ განხილვა • შეუძლია მიიღოს მსოფლიო ბანკის დაფინანსება • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი აწარმოებს გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტის მონიტორინგს და ანგარიშგებას. 	<p>და II დანართების მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> • დამატებითი სკრინინგი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-5 დანართის მიხედვით • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარ განხილვა • შესაძლოა საჭირო იყოს გზშ და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ნებართვის გაცემა • მოქმედებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები • საჭიროა შემარბილებელი ზომები (გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) • შეუძლია მიიღოს მსოფლიო ბანკის დაფინანსება • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი აწარმოებს გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტის მონიტორინგს და ანგარიშგებას. 	<p>საქართველოში” განიხილავს სესხის შეთავაზებას დაფინანსების ალტერნატიული წყაროთი</p>
---	--	---	--

52. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების განხორციელებისთვის, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” მოქმედებს საფინანსო ინსტიტუტის რანგში და ESS-9-ის მიხედვით ვალდებულია შეიმუშაოს საკუთარი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ფარგლებში ინსტიტუციური ღონისძიებები მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის სავალდებულო მოთხოვნების მსგავსი იქნება: სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მმართველი რგოლის წარმომადგენელი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის ჩატარებაზე მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის 1-ლი კომპონენტის განსახორციელებლად. წარმომადგენელი დაიქირავებს მინიმუმ ერთ გარემოსდაცვით სპეციალისტს და ერთ სოციალური საკითხების სპეციალისტს, პასუხისმგებელია პერსონალის/კონსულტანტების შესაფერის კომპეტენციებზე და მუშაობის ხარისხზე (გარემოსდაცვითი, სოციალური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობის ნიმუში იხილეთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს N 7 დანართში). სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მიერ დასანერგი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები იქნება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს ნაწილი.

53. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა 1.1 ქვეკომპონენტში ითვალისწინებს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფას: გრანტის მიმღების და მისი დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის საკმარისობა და შესაბამისობა; გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი ს შევსებული კითხვარების ხარისხი; გრანტის მიმღების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის კუთხით მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობა. სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტები ასევე უზრუნველყოფენ, რომ კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის შემუშავებული პირობები მოიცავდეს ზემოაღნიშნულ პასუხისმგებლობებს გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტისთვის, ხოლო კონტრაქტორ ორგანიზაციებთან გაფორმებული კონტრაქტები ცალსახად სავალდებულოდ ხდიდეს ამ პირობების შესრულებას.

54. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის ფარგლებში სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტს ქონდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის შესაფერისი სისტემები, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებს და ინსტიტუციურ ღონისძიებებს ამ პროცედურების განსახორციელებლად. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ყოველწლიურად ჩაატარებს ორ შემოწმებას, რათა დაადასტუროს, რომ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები განაგრძობენ შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების გამოყენებას პროექტით მხარდაჭერილი აქტივობების განსახორციელებლად. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” უზრუნველყოფს, რომ ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში აღწერილი ქვეპროექტის პორტფელის მართვისთვის სათანადო გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის მოთხოვნები ფორმალურად დაფიქსირდეს

სააგენტოს და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში და ამასთან კონტრაქტებით გათვალისწინებული იყოს მაკორექტირებელი ზომები, რაც საშუალებას მიცემს სააგენტოს შეაფასოს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შესაბამისობა ამ მოთხოვნებით. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” წელიწადში ორჯერ მოითხოვს თითოეული მონაწილე საფინანსო ინსტიტუტისგან გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის ანგარიშის წარმოდგენას ხუთი უმსხვილესი ქვეპროექტისთვის (კრედიტის მოცულობის მიხედვით) განსაზღვრულ საანგარიშო პერიოდში. თუ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ქვეპროექტში გამოავლენს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ან/და სოციალურ საკითხს აცნობებს სააგენტოს, სააგენტო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტთან ერთად განსაზღვრავს მაკორექტირებელ ზომებს. სააგენტომ შეიძლება მეთოდური/ტექნიკური დახმარების და მითითებებისთვის მიმართოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სხვა უწყებას, მაგ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტს. თუ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხი ვერ გადაწყდება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესასრულებლად, სააგენტომ შეიძლება შეაჩეროს დაფინანსება.

55. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები კონტრაქტით ვალდებული არიან დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 48 საათისა) აცნობონ სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინციდენტების შესახებ ან/და გრანტის მიმღებებთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა და მოგვიანებით წარმოადგინონ დამატებითი გადამოწმებული ინფორმაცია ინციდენტის შესახებ, სააგენტოს მოთხოვნისამებრ. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მიაწვდის მსოფლიო ბანკს.

6 შრომის და სამუშაო პირობები

56. პროექტში ჩართული იქნება უშუალო პერსონალი, რომლებიც დასაქმებულია სააგენტოა “აწარმოე საქართველოში” და საქართველოს ეროვნულ ბანკში, ასევე კონტრაქტით დაქირავებული პერსონალი - კონსულტანტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას. სამინისტროს პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ ხელმძღვანელობას 2.1 და 2.2 ქვეკომპონენტების ფარგლებში, ჩაითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად. პროექტში ადგილობრივი თემების წარმომადგენლები არ დასაქმდებიან.

57. საქართველოში შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოების სფერო გადის რეფორმას, რომლის მიზანია კანონმდებლობის გაუმჯობესება, ასევე შრომის ინსპექციის მანდატის და აღსრულების შესაძლებლობების გაუმჯობესება. ეს რეფორმები გააუმჯობესებს შრომის კოდექსს, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონს და შრომის ინსპექტირების შესახებ კანონს (ამჟამად პროექტის ფორმატში). შრომის მოქმედი კოდექსი განსაზღვრავს

დისკრიმინაციის გამორიცხვის, გაერთიანების თავისუფლების, დასაქმების მინიმალური ასაკის, შრომის უსაფრთხოების და დავების გადაწყვეტის საკითხებს. თუმცა, შრომის კოდექსით დასაქმებულთა უფლებების დაცვის მექანიზმი ამჟამად სუსტია. 2018 წლის მარტიდან საქართველომ დანერგა შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების გარკვეული მექანიზმები; თუმცა, შრომის და სამუშაო პირობების სხვა ასპექტებისთვის ასეთი მექანიზმები შემუშავებული არ არის.

უშუალო და კონტრაქტით დაქირავებული პერსონალი

58. პროექტის ფარგლებში უშუალო და კონტრაქტით დაქირავებულ პერსონალს მიეკუთვნება სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” პერსონალი და კონსულტანტები, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პერსონალი და კონსულტანტები, რომლებიც მონაწილეობენ 1-ლი კომპონენტის განხორციელებაში, ეროვნული ბანკის და სამინისტროს თანამშრომლები და კონსულტანტები, რომლებიც მონაწილეობენ მე-2 კომპონენტის განხორციელებაში, ასევე ზემოაღნიშნული უწყებების მიერ პროექტის განხორციელების მიზნით დასაქმებული სხვა კონსულტანტები.

59. როგორც სახელმწიფო უწყებებს, სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და საქართველოს ეროვნულ ბანკს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვთ ადამიანური რესურსების პოლიტიკა. სამინისტროს თანამშრომლები არიან საჯარო მოხელეები. პროექტის ფარგლებში, სააგენტო “აწარმოე საქართველოში” გააძლიერებს ადამიანური რესურსების პოლიტიკის შერჩეულ კომპონენტებს, რათა უზრუნველყოს ESS 2-თან შესაბამისობა, როგორცაა თანამშრომლებისთვის საჩივრების მექანიზმის შემუშავება და ქცევის კოდექსის დაცვის მოთხოვნა. საჩივრების მექანიზმის საერთო ნიმუში მოცემულია ამ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მე-8 დანართში.

60. კონტრაქტორი ორგანიზაციები იღებენ ვალდებულებას დაიცვან შრომის მოქმედი კანონმდებლობა (შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონი) და თანამშრომლებისთვის აწარმოონ საჩივრების მართვის მექანიზმი.

61. ანალოგიურად, პროექტთან დაკავშირებული მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პროცედურები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დანერგონ ან აწარმოონ (თუ უკვე არსებობს) საჩივრების მართვის მექანიზმი თანამშრომლებისთვის და უზრუნველყონ პროექტის პერსონალის ინფორმირება და წვდომა პოლიტიკაზე და საჩივრების მექანიზმზე.

62. პროექტის უშუალო და კონტრაქტით დაქირავებული თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომი საჩივრების მართვის მექანიზმი ითვალისწინებს სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის, სექსუალური შევიწროების საჩივრების უსაფრთხო და

კონფიდენციალური ფორმით მიღების, მიმართვის და გადაწყვეტის პროცედურებს (ნიმუში იხილეთ N8 დანართში).

ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლები

63. პროექტის ბენეფიციარების (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების) ოპერაციებში შრომის და სამუშაო პირობების აუდიტი ინტეგრირებული იქნება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების აუდიტის პროცესში, რომელიც დეტალურად იქნება აღწერილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კორპორატიულ სისტემებში.

64. დაბალი და საშუალო რისკის აქტივობების აუდიტი ტარდება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გაფორმებული ქვესესხის ხელშეკრულებები ითვალისწინებს შრომის პირობებთან და პროფესიულ, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის დაცვის ვალდებულებას და მაკორექტირებელი ზომების მიღების ვალდებულებას, ეროვნულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში.

65. ბენეფიციარი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ვალდებულებებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს დამატებითი მოთხოვნები არსებითი რისკის მქონე აქტივობებისთვის, ეროვნულ კანონმდებლობის და ESS 2-ის შესაბამისად, საქმიანობის სახეობის და დარგის სპეციფიური რისკების მიხედვით. არსებითი რისკის აქტივობები მინიმუმ მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:

- შრომის მართვის პროცედურების, მათ შორის შრომის უსაფრთხოების პროცედურების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი; დაქირავების და სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურები; დისკრიმინაციის აღმოფხვრა; სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების და ძალადობის აკრძალვა; კომპანიის და ყველა თანამშრომლის მიერ ქცევის კოდექსის დაცვა; რისკის შეფასება 18 წლამდე თანამშრომლებისთვის ან 18 წლამდე პირების დასაქმების აკრძალვა; და ზეგანაკვეთური სამუშაოს ვადები და შეზღუდვები;
- ყველა კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის მიერ შრომის მართვის პროცედურების დანერგვა, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის შრომის მართვის გეგმის შესაბამისად;
- ყველა თანამშრომლისთვის სექსუალური ექსპლუატაციის და შევიწროების საჩივრებისთვის მექანიზმის შემუშავება;
- ადგილზე შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის უზრუნველყოფა; და
- კომპანიის შრომის, სამუშაო პირობების და შრომის უსაფრთხოების რეგულარული მონიტორინგის და ანგარიშგების ვალდებულება.

66. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის ანგარიშები მოიცავს შრომის და სამუშაო პირობების გამოყოფილ

სექციებს, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს აქტივობის რისკის პროპორციულად. არსებითი რისკის აქტივობებისთვის შემუშავდება მონიტორინგის ცალკეული ფორმები შრომის და სამუშაო პირობების და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის, დარგის სპეციფიური კარგი სამრეწველო პრაქტიკის მიხედვით.⁸

7. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და საჩივრების მექანიზმი

67. სააგენტომ “აწარმოე საქართველოში” მოამზადა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია ყველა დაინტერესებულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაცია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტით, ან რომლებზეც შესაძლოა პროექტმა გავლენა იქონიოს. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა ასახავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამიზნე ჯგუფებს, მეთოდებს და პასუხისმგებლობებს დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით აქტივობების განხორციელებისას. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია დაინტერესებული მხარეების დროული ჩართვა პროექტის მომზადების და განხორციელების ეტაპებზე.

68. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში განისაზღვრება პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი, მათ შორის ინდივიდუალური პირები, საწარმოები, ჯგუფები ან სხვა სუბიექტები: (i) რომლებზეც პირდაპირ ან ირიბად, დადებით ან უარყოფით ზეგავლენას ახდენს პროექტი (ე.წ. „ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები“); და (ii) რომელთაც შეიძლება ჰქონდეს ინტერესი პროექტში („სხვა დაინტერესებული მხარეები“). აღნიშნულში შედიან ინდივიდები და ჯგუფები, რომელთა ინტერესებზე შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტმა და რომელთაც აქვთ პოტენციური რაიმე ფორმით გავლენა მოახდინონ პროექტის შედეგებზე.

69. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა განსაზღვრავს პოტენციურად დაუცველ და არახელსაყრელ პირობებში მყოფ მხარეებს და აღწერს დიფერენცირებულ ზომებს, რომლებსაც პროექტი განახორციელებს მათი თანაბარი მონაწილეობის და პროექტისგან სარგებლობის მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ამ ღონიშმიებებში შედის (არა მხოლოდ) ოჯახების ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, ტელეფონით, სოციალური მედიით და ა.შ., სოციალური დისტანციის მოთხოვნების დაცვით (კოვიდ-19 პანდემიის მხრივ), ადგილობრივ ენებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე უმცირესობების მაღალი კონცენტრაციის თემებში; შეხვედრების, კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრების და ტრენინგების ჩატარება

⁸ იხილეთ IFC-ს გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მითითებები: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-at-ifc/policies-standards/ehs-guidelines

შესაფერის ადგილებში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომ შენობებში; საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებების ასაკობრივად და გენდერულად დაბალანსება ან/და მორგებული საინფორმაციო კამპანია, თუ ქალები და ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ ბიზნესს ან მეწარმეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან პოტენციურად დაუცველ ჯგუფს; ინფორმაციის გავრცელების გეგმები და კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან, როგორცაა ქალთა გაერთიანებები, შშმ პირთა ასოციაციები, უმცირესობების ჯგუფები და ა.შ..

70. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში აისახება საჩივრების მართვის მექანიზმი. საჩივრების მართვის მექანიზმი ითვალისწინებს მოქალაქეების მიერ მოსაზრების და საჩივრების შეტანის არაერთ არხს, მათ შორის წერილობითი ფორმით, ცხელი ხაზით, ფოსტით, სოციალური მედიით (ფეისბუქი და სხვ.), ელექტრონული ფოსტით, ვებგვერდით, კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით და უშუალოდ სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მეშვეობით. სააგენტოს საკონტაქტო პირი პასუხისმგებელია პროცესის საერთო მართვაზე, ინფორმაციის გავრცელებაზე და საჩივრების მართვის მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ ანგარიშგებაზე. 1.1 ქვეკომპონენტისთვის სააგენტო “აწარმოე საქართველოში” და კონტრაქტორი ორგანიზაციები შეასრულებენ ფუნქციებს შესაბამის რეგიონებში საჩივრების მართვის მექანიზმის ადმინისტრირებაში.

71. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები შეიმუშავებენ გარე კომუნიკაციის მექანიზმს კორპორატიული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ნაწილის სახით. გარე კომუნიკაციის მექანიზმი საშუალებას მიცემს ბენეფიციარებს და იმ სუბიექტებს ვინც თვლის, რომ მათზე უარყოფით გავლენას ახდენს ბენეფიციარების საქმიანობის დაფინანსება, წარადგინონ საჩივრები, მოსაზრებები, მოთხოვნები და წინადადებები, მაგ. პროექტის პოლიტიკის, მითითებების ან პროცედურების დარღვევაზე, ბავშვთა შრომის, პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, სამუშაო ადგილზე შევიწროების საკითხებზე. გარე კომუნიკაციის მექანიზმით ასევე შესაძლებელი იქნება ანონიმური საჩივრების შეტანა. გარე კომუნიკაციის მექანიზმის დეტალები დაფიქსირდება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოშიც.

8 მონიტორინგი და ანგარიშგება

72. სააგენტო “აწარმოე საქართველოში” მსოფლიო ბანკს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს პროექტის ფარგლებში განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ. ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას და ანალიზს გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის შესახებ, რომელსაც ატარებენ სააგენტო “აწარმოე საქართველოში” და კონტრაქტორი ორგანიზაციები 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები მიერ 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში. ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას მიკროგრანტის განაცხადების და ქვეპროექტების რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ამოწმებს და განიხილავს თითოეული კონტრაქტორი ორგანიზაცია/მონაწილე

საფინანსო ინსტიტუტი, განაცხადების/ქვეპროექტების რისკის კატეგორიზაციას, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებთან შესაბამისობის სტატუსს, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით ჩატარებულ სამუშაოს. რეგულარული ექსტრემალი ანგარიშების შაბლონები და ინციდენტების შესახებ შეტყობინებები დეტალურად იქნება აღწერილი პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში (ძირითადი სახელმძღვანელო იხილეთ N9 დანართში). მსოფლიო ბანკი წინასწარ განიხილავს ყველა ქვეპროექტს პროექტის დაწყებიდან ექვს თვემდე ვადაში, რა დროსაც ბანკი და სააგენტო “აწარმოე საქართველოში” განიხილავენ ზოგიერთი, უმეტესი ან ყველა ქვეპროექტის განხილვაზე გადასვლის შესაძლებლობას. წინასწარი და შემდგომი განხილვის დეტალები დაფიქსირდება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში. 1.1, 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ზედამხედველობა მსოფლიო ბანკის პროექტით გათვალისწინებული მხარდაჭერის ნაწილია.

დანართი 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისების სია

- ნებისმიერი პროდუქციის ან აქტივობის წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც არალეგალურად ითვლება მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობით და რეგულაციებით, საერთაშორისო კონვენციებით და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, მაგ. ფარმაცევტული საშუალებები, პესტიციდები/ჰერბიციდები, ოზონის დამშლელი ნივთიერებები, ველური ბუნება ან პროდუქტები, რომლებსაც არეგულირებს CITES.
- ზრდასრულთა გართობის საშუალებების წარმოება ან ვაჭრობა.
- იარაღის და საბრძოლო მასალის წარმოება ან ვაჭრობა.
- ალკოჰოლური სასმელების (ლუდის და ღვინის გარდა) წარმოება ან ვაჭრობა.
- თამბაქოს წარმოება ან ვაჭრობა.
- ახარტული თამაშები, კაზინოები და მათთან გათანაბრებული სუბიექტები.
- რადიოაქტიური მასალების წარმოება ან ვაჭრობა. აღნიშნულში არ შედის სამედიცინო აპარატურის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აპარატურის და ნებისმიერი მოწყობილობის შექმნას, სადაც მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ რადიოაქტივობის წყარო უმნიშვნელოა ან/და სათანადოდ დაცულია.
- აზბესტის ბოჭკოს დამზადება ან ვაჭრობა. აღნიშნულში არ შედის ხისტი აზბესტის ცემენტის ფურცლების შექმნას და გამოყენებას, სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია.
- ზღვაში სადრეიფერო ბადით თევზაობა, 2,5 კმ-ზე გრძელი ბადის გამოყენებით.
- წარმოება ან საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს იძულებითი შრომის ექსპლუატაციურ ფორმებს/ბავშვთა შრომას.
- სახიფათო ქიმიკატების მნიშვნელოვანი მოცულობის წარმოება, ვაჭრობა, შენახვა, ან ტრანსპორტირება, ან სახიფათო ქიმიკატების კომერციული მასშტაბით გამოყენება. სახიფათო ქიმიკატებია ბენზინი, ნავთი და სხვა ნავთობპროდუქტები.
- ხეტყის დამზადება ტროპიკულ ტენიან ტყეებში გამოსაყენებლად.
- ხის ან სატყეო მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და ვაჭრობა, მდგრად მართვას დაქვემდებარებული ტყეების გამოკლებით.
- ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა, გარდა გადამუშავებისთვის განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენებისა;
- მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებები;
- მუშაკთა ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების დარღვევა;
- ეროვნული პარკის ან დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვანი დეგრადაცია; და
- უძრავი ქონებით სპეკულაცია.

მსოფლიო ბანკის გამონაკლისების სიის სქოლიოები

1 არ ეხება პროექტის სპონსორებს, რომლებიც არსებითად არ მონაწილეობენ ამ აქტივობებში. „არსებითად არ მონაწილეობენ“ ნიშნავს, რომ აღნიშნული აქტივობა არის პროექტის სპონსორის ძირითადი ოპერაციების დამხმარე აქტივობა.

2 იძულებითი შრომა გულისხმობს სამუშაოს და მომსახურებას, რომელიც ნებაყოფლობით არ სრულდება, შესრულებულია ინდივიდის მიერ იძულებით, ან სასჯელის თავიდან არიდების მიზნით.

3 ბავშვთა შრომა ნიშნავს ბავშვების დასაქმებას, რომელიც ეკონომიკურად ექსპლუატაციური ფორმისაა, ან შესაძლოა სახიფათო იყოს და ხელი შეუშალოს ბავშვის განათლებას, საზიანო იყოს ბავშვის ჯანმრთელობისთვის, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარებისთვის.

დანართი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგი ს ფორმა მიკრო საგრანტო პროგრამისთვის (ქვეკომპონენტი 1.1)

საწარმოს დასახელება:			
საწარმოს საგადასახადო კოდი:		საიდენტიფიკაციო კოდი:	
უფლებამოსილი წარმომადგენელი:			
მისამართი:			
ელ. ფოსტა:		ტელეფონი:	
გრანტის დანიშნულება:			
შემფასებელი:		თარიღი:	

რისკები	კი	არა	დასადგენი	შენიშვნები
1. განმცხადებლის მიერ განხორციელებული აქტივობები არ შედის მსოფლიო ბანკის ჯგუფის დაფინანსების გამონაკლისების სიაში.				
2. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განმცხადებელი არ დაჯარიმებულა ერთზე მეტჯერ 500 ლარით ან ნაკლები ოდენობით და არ ყოფილა სხვა ფორმით სანქცირებული გარემოს, საზოგადოების ან/და შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ან/და შრომის კანონმდებლობის/რეგულაციების დარღვევისთვის.				
3. განმცხადებელმა წარმოადგინა მტკიცებულება, რომ აქვს ეროვნული კანონმდებლობით აუცილებელი ყველა ნებართვა/ლიცენზია და არის ყველა მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელი, რომელზეც სრულდება დაფინანსებული საქმიანობა.				
4. შემოთავაზებული აქტივობა არ იწვევს მიწის შესყიდვის გამო ეკონომიკურ ან ფიზიკურ გადაადგილებას.				
5. შემოთავაზებული აქტივობა არ განხორციელდება ეროვნულ ან/და საერთაშორისო კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე (დაცული ლანდშაფტების და ბიოსფერული რეზერვების გამოკლებით), კულტურული ძეგლის ტერიტორიაზე, ან კულტურის ძეგლის ტერიტორიის მიმდებარე ნაკვეთზე (ისტორიული დასახლებების გამოკლებით).				

--	--	--	--	--	--

შენიშვნები:

თუ ერთ-ერთ კითხვაზე პასუხი არის „არა“, განაცხადი დაუშვებელია საგრანტო დაფინანსებისთვის. თუ 1-5 კითხვებზე პასუხია „კი“ ან/და „დასადგენია“, განმცხადებელი განიხილება შერჩევის შემდგომ ეტაპებზე.

დასკვნა:	გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი	გაიარა		ვერ გაიარა	
----------	---------------------------------------	--------	--	------------	--

მსოფლიო ბანკის დაფინანსების გამონაკლისების სია

აქტივობები, რომლებიც უკანონო ქვეყნის კანონმდებლობით, რეგულაციებით, ან რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებით და შეთანხმებებით, იარაღი და საბრძოლო მასალა, ზრდასრულთა გართობა, ალკოჰოლური სასმელები (ღვინის და ლუდის გამოკლებით), თამბაქო, აზარტული თამაშები, კაზინოები და ექვივალენტური სუბიექტები, ველური ბუნება ან ველური ბუნების პროდუქტები, რომლებიც რეგულირდება გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით (CITES), რადიოაქტიური მასალების ან აზბესტის ბოჭკოების, ხე-ტყის კომერციული მიზნით წარმოება ან ტროპიკულ ტენიან ტყეებში გამოსაყენებლად ხე-ტყის დამუშავების მოწყობილობების შექმნა, პოლიქლორირებული ბიფენილის ნაერთები (სინთეზური კლასის) ორგანული ქიმიკატები, ფარმაცევტული საშუალებები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, პესტიციდები/ჰერბიციდები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო ეტაპობრივ ამოღებას ან აკრძალვას, ოზონის დამშლელი ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვას, ნარჩენები და ნარჩენი პროდუქტები, გარდა არასახიფათო ნარჩენებისა და გადამუშავებისთვის განკუთვნილი ნარჩენებისა, ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებები, მუშაკთა ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შეუსრულებლობა, ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვანი დეგრადაცია, უმრავი ქონებით სპეკულაცია.

დანართი 3. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონის „დანართი I“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ“ საქართველოს კანონის I დანართში ჩამოთვლილი შემდეგი აქტივობები პროექტით არ დაფინანსდება.

1. ენერგეტიკა:

1.1. ნედლი ნავთობის გადამუშავება (გარდა საპოხი მასალებისა);

1.2. დღეში 500 ტონა ან მეტი ნახშირის ან ბიტუმოვანი ფიქლის გათხევადება/აირად გარდაქმნა.

2. 10 მეგავატი და მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურების და წვის სხვა ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

3. ატომური ელექტროსადგურების ან სხვა ბირთვული რეაქტორების გამოყოფა, მათ შორის ასეთი ელექტროსადგურების ან რეაქტორების დემონტაჟი ან ექსპლუატაციიდან ამოღება, გარდა გახლეჩის უნარის მქონე და ფერტილური მასალების წარმოების და გარდაქმნის კვლევითი ობიექტებისა, რომელთა მაქსიმალური სიმძლავრე არ აღემატება 1 კილოვატ უწყვეტ თერმულ დატვირთვას.

4. შემდეგი საქმიანობისთვის განკუთვნილი დანადგარები:

4.1. ბირთვული საწვავის წარმოება ან/და გამდიდრება;

4.2. დასხივებული ბირთვული საწვავის ან მაღალი დონის რადიოაქტიური ნარჩენების დამუშავება;

4.3. დასხივებული ბირთვული საწვავის საბოლოო განადგურება;

4.4. დასხივებული ბირთვული საწვავის ან რადიოაქტიური ნარჩენების შენახვა წარმოების ადგილის გარეთ, თუ დაგეგმილია მათი შენახვა 3 წელზე მეტი ხნით;

4.5. რადიოაქტიური ნარჩენების საბოლოო განადგურება.

5. თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორადი დნობის ჩათვლით.

6. ფერადი ნედლი ლითონების წარმოება მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორადი ნედლეულიდან, მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესებით, გარდა საიუველირო ნაკეთობების გარდა.

7. აზბესტის მოპოვება, აზბესტის ან აზბესტის შემცველი პროდუქტების გადამუშავება ან/და გარდაქმნა: წლიურად 20.000 ტონაზე მეტი აზბესტის პროდუქციის წარმოება; წლიურად 50 ტონაზე მეტი ფრიქციული მასალის წარმოება; წლიურად 200 ტონაზე მეტი აზბესტის გამოყენება.

8. ქიმიური მრეწველობა:

8.1. ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება;

8.2. ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება;

8.3. ფოსფორის, აზოტის ან/და კალიუმის შემცველი სასუქების (მარტივი ან რთული სასუქების) წარმოება;

8.4. მცენარეული ჯანმრთელობის პროდუქტების ან/და ბიოციდების წარმოება;

8.5. ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება ქიმიური ან/და ბიოლოგიური პროცესის გამოყენებით;

8.6. ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება.

9. მაგისტრალური მიწისზედა ან/და მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

10. აეროპორტების მშენებლობა და ექსპლუატაცია 1600 მ და მეტი სიგრძის ძირითადი ასაფრენი ბილიკით.

11. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა.

12. საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზება, რომელთა მთლიანი მონაკვეთი 5 კმ და მეტი სიგრძისაა.

13. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე გვირაბების ან/და ხიდების მშენებლობა.

14. შიდა საწყლო გზების ან ნავსადგურების მშენებლობა, რომლებიც იძლევა 1350 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის გემების გავლის შესაძლებლობას.

15. ხმელეთთან და სხვა პორტებთან დაკავშირებული ნავსადგურების და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პირსების მშენებლობა და ექსპლუატაცია (გარდა საბორნე პირსებისა), რომელთაც შეუძლიათ 1350 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის გემების მიღება.

16. სახიფათო ნარჩენების განადგურება, დაწვა ან/და ქიმიური დამუშავება.

17. დღეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განადგურება, დაწვა ან/და ქიმიური დამუშავება.

მიწისქვეშა წყლების ათვისებასთან ან მიწისქვეშა წყლების ხელოვნურ შევსებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოება, სადაც წყლის რესურსის წლიური ათვისება ან შევსების მოცულობა შეადგენს 10 მილიონ კუბურ მეტრს ან მეტს.

19. წყლის რესურსების გადატანა მდინარის აუზებს შორის (გარდა სასმელი წყლის მილსადენებით გადატანისა):

19.1. სადაც წყლის რესურსების გადატანა მიზნად ისახავს წყლის დეფიციტის აღმოფხვრას და სადაც გადატანილი წყლის მოცულობა აღემატება წელიწადში 20 მილიონ კუბურ მეტრს;

19.2. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც მრავალწლიური საშუალო ხარჯი წყლის აღების აუზიდან აღემატება წელიწადში 2000 მლნ კუბურ მეტრს და სადაც გადატანილი წყლის მოცულობა აღემატება ამ ხარჯის 5%-ს.

20. ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა 50 000-ზე მეტი მოსახლის დასახლებული პუნქტისთვის, შესაბამისი სიმძლავრით.
21. კაშხლების ან/და სხვა ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია წყლის შეკავების ან მუდმივად შესანახად და სადაც შეკავებული ან შენახული წყლის რაოდენობა აღემატება 50,000 კუბურ მეტრს.
22. 5 მეგავატი და მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია.
23. ნავთობის, გაზის ან ქიმიური ნაერთების ტრანსპორტირებისთვის 800 მმ ან მეტი დიამეტრის და 40 კმ-ზე მეტი სიგრძის მილსადენების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ასევე ნახშირორჟანგის (CO₂) ტრანსპორტირება გეოლოგიური შენახვისთვის.
24. მეფრინველეობის ფერმები (85 000-ზე მეტი ადგილით ბროილერებისთვის ან/და 60 000-ზე მეტი ადგილით ქათმებისთვის) ან/და ღორის ფერმები (10,000-ზე მეტი ადგილით გოჭებისთვის (30 კგ-ზე ნაკლები წონის) ან/და 6000-ზე მეტი ადგილით ღორებისთვის (30 კგ-ზე მეტი).
25. მერქნის ან მსგავსი ბოჭკოვანი მასალისგან ქაღალდის წარმოება და დღეში 200 ტონაზე მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება.
26. კარიერები სადაც სამთო მოპოვების უბნის ფართობი აღემატება 25 ჰექტარს.
27. ტორფის მოპოვება, სადაც უბნის ფართობი აღემატება 150 ჰექტარს.
28. 220 კვ და მეტი ძაბვის და 15 კმ-ზე მეტი სიგრძის საჰაერო ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.
29. 1000 კუბური მეტრი და მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების შესანახი ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია.
30. ნახშირორჟანგის (CO₂) გეოლოგიური შენახვა.
31. წელიწადში 1,5 მეგატონა ან მეტი ნახშირორჟანგის (CO₂) აღება.

დანართი 4. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონის „დანართი II“.

1. სოფლის მეურნეობა, მევენახეობა და აკვაკულტურა:

- 1.1. 10 ჰექტარი და მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- 1.2. 10 ჰექტარი და მეტი დაუმუშავებელი მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- 1.3. სამელიორაციო სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია;
- 1.4 ტყის გაშენება 500 ჰექტარზე და მეტ ფართობზე ან/და ტყის გაჩეხვა 50 ჰექტარზე და მეტ ფართობზე, სხვა კატეგორიის მიწად ტრანსფორმაციის და სარგებლობის მიზნით;
- 1.5. 500 და მეტი სული პირუტყვისთვის სადგომის მშენებლობა;
- 1.6. წელიწადში 40 ტონაზე მეტი ტევადობის სათევზე მეურნეობების მოწყობა;
- 1.7. ზღვის განაშენიანება (ხელოვნური კუნძულების, ნახევარკუნძულების შექმნა და ა.შ.)

2. მოპოვებითი მრეწველობა და ბურღვის სამუშაოები:

- 2.1. კარიერები, ღია მოპოვება და ტორფის მოპოვება (ქვიშა-ხრემის გარდა), სადაც ობიექტის ფართობი 10 ჰექტარზე მეტია;
- 2.2. მინერალების მიწისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო მიზნებისთვის), სადაც მოპოვებული რესურსების მოცულობა აღემატება წელიწადში 100,000 კუბურ მეტრს (გარდა ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვებისა, ან მიწისქვეშა წყლებით პირადი სარგებლობისა);
- 2.3. ზღვიდან მინერალების მოპოვება;
- 2.4. ბურღვა თერმული წყლების მოპოვებისთვის;
- 2.5. ბურღვა რადიოაქტიური ნარჩენების შესანახად;
- 2.6. ბურღვა ქვანახშირის, მადნის ან ბიტუმოვანი ფიქლის მოპოვებისთვის სახმელეთო სამრეწველო დანადგარების გამოყენებით.

3. ენერგეტიკული მრეწველობა:

- 3.1. 2 მეგავატი და მეტი სიმძლავრის წვის დანადგარები ელექტროენერჯის წარმოებისთვის;
- 3.2. ორთქლის და ცხელი წყლის წარმოების დანადგარები (გარდა ნავთობის და გაზის სამუშაოებთან დაკავშირებული ორთქლის და ცხელი წყლის დანადგარებისა), სადაც ათვისების ფართობი აღემატება 0,5 ჰექტარს და წარმოების სიმძლავრე აღემატება 50 მეგავატს;
- 3.3. 5 კმ და მეტი სიგრძის მილსადენების გაყვანა გაზის, ორთქლის და ცხელი წყლის ტრანსპორტირებისთვის;
- 3.4. 35 კვ და მეტი ძაბვის საჰაერო ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა და 110 კვ და მეტი ძაბვის ქვესადგურების მშენებლობა;

3.5. 100 კუბური მეტრი და მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის ზედაპირული ან/და მიწისქვეშა შესანახი ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია;

3.6. ნახშირის ან/და ლიგნიტის ბრიკეტირება;

3.7. რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება ან/და შენახვა;

3.8. 2-დან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია;

3.9. დანადგარები ქარის ან/და ზღვის ტალღების ძალის გამოყენებით ენერჯის წარმოებისთვის.

4. ლითონების წარმოება და გადამუშავება:

4.1. რუხი თუჯის ან ფოლადის შერწყმა პროდუქტების წარმოებისთვის;

4.2. შავი ლითონების დამუშავება: ცხელი გლინვა, სამჭედლო დანადგარები ჩაქურებით, ლითონის დამცავი საფარის გამოყენება წელიწადში 50 ტონა და მეტი ტევადობით;

4.3. ფერადი ლითონების დნობა (ძვირფასი ლითონების გარდა), წელიწადში 20 ტონა და მეტი მოცულობით;

4.4. ლითონების ან/და პლასტმასის მასალების ზედაპირული დამუშავება ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესის გამოყენებით 10 კუბური მეტრი და მეტი ტევადობის რეზერვუარში;

4.5. საავტომობილო მრეწველობა (მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებების აწყობა) და საავტომობილო ძრავების წარმოება;

4.6. გემთმშენებლობა;

4.7. თვითმფრინავების მშენებლობა;

4.8. ასაფეთქებელი ნივთიერებით შტამპში ჭედვა;

4.9. ლითონის მადნების გამოწვა და შეცხობა.

5. მინერალების ნედლეულის გადამუშავება:

5.1. მინერალების გადამუშავება;

5.2. ნახშირის კოქსვა;

5.3. ასფალტის წარმოება;

5.4. ცემენტის, კირის, ბათქაშის ან/და თაბაშირის წარმოება;

5.5. აზბესტის ან/და აზბესტის პროდუქტების წარმოება;

5.6. მინის ან/და მინის ნაწარმის (მათ შორის მინის ბოჭკოს) წარმოება;

5.7. კერამიკული თიხის წარმოება (გარდა ტრადიციული საყოფაცხოვრებო წარმოებისა), კერამიკული ნაწარმის წარმოება (კერძოდ გადასახური ფილების, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ან ფაიფურის).

6. ქიმიური მრეწველობა:

6.1. ქიმიკატების წარმოება შუალედური პროდუქტების ქიმიური დამუშავებით;

6.2. ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავის, ლაქების, პეროქსიდების, ელასტომერების ან/და პლასტმასის მასალების წარმოება;

6.3. ნავთობის და ნავთობპროდუქტების, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტების შესანახი ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

7. კვების მრეწველობა:

7.1. წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი მცენარეული ან/და ცხოველური ზეთების და ცხიმების წარმოება;

7.2. ცხოველური ან/და მცენარეული პროდუქტების დაკონსერვება, წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი პროდუქტის წარმოების მიზნით;

7.3. დღეში 20 ტონაზე მეტი რძის პროდუქციის წარმოება;

7.4. დღეში 100 ტონაზე მეტი ლუდის და ალაოს წარმოება;

7.5. დღეში 3 ტონაზე მეტი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება;

7.6. პირუტყვის დასაკლავი ობიექტების აგება და ექსპლუატაცია, სადაც დღეში 30 ან მეტი პირუტყვი იკვლება;

7.7. წელიწადში 5000 ტონა და მეტი სახამებლის წარმოება;

7.8. წელიწადში 5000 ტონაზე მეტი თევზის გადამუშავება;

7.9. დღეში 25 ტონა და მეტი შაქრის წარმოება.

8. ტექსტილის, ტყავის და ქაღალდის მრეწველობა:

8.1. დღეში 10 ტონა და მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება;

8.2. დღეში 1 ტონაზე მეტი ტექსტილის ან/და ტექსტილის ბოჭკოს წინასწარი დამუშავება (გარეცხვა, გათეთრება, მერსერიზაცია) ან/და შეღებვა;

8.3. ტყავის თრიმლვა/დამუშავება;

8.4. ცელულოზის დამუშავება.

9. ინფრასტრუქტურული პროექტები:

9.1. 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო ფართების გაშენება;

9.2. ურბანული განვითარების პროექტები 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობით (მათ შორის, სავაჭრო ცენტრების და 1000 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომების მშენებლობა);

9.3. ინტერმოდალური ტერმინალების და მათთან დაკავშირებული რკინიგზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

9.4. აეროდრომების მშენებლობა;

9.5. საზღვაო ნავსადგურების და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მშენებლობა, რომელთა ფართობი პროექტის მიხედვით 1 ჰექტარზე მეტია;

9.6. 2 კმ და მეტი სიგრძის საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა და 5 ჰექტარზე მეტი ფართობის საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა;

9.7. შიდა საწყლო გზების მშენებლობა;

9.8. წყალდიდობის სალიკვიდაციო სამუშაოები;

9.9. კაშხლების ან/და სხვა ნაგებობების/ობიექტების მშენებლობა, რომლებიც შექმნილია წყლის შესაკავებლად ან ხანგრძლივად შესანახად, სადაც შეკავებული ან შენახული წყლის მოცულობა 10 000 კუბურ მეტრზე მეტია;

9.10. ტრამვაის ან/და საბაგირო გზების მშენებლობა მგზავრების გადასაყვანად;

9.11. ნავთობის, გაზის ან ნახშირორჟანგის (CO₂) ტრანსპორტირებისთვის 5 კმ-ზე მეტი სიგრძის მილსადენების გაყვანა

9.12. 5 კმ ან მეტი სიგრძის წყალსადენის მშენებლობა 1 ჰექტარზე და მეტ ფართობზე;

9.13. ნაპირგამაგრების სამუშაოები, სანაპირო ზოლების ეროზიის პრევენციის და სანაპირო ზოლების აღდგენის მიზნით, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ სანაპიროები კერძოდ ჯებირების, მოლოების და სხვა საზღვაო სანაპიროს დაცვის სამუშაოების მშენებლობით, გარდა რეკონსტრუქციის სამუშაოებისა).

10. სხვა პროექტები:

10.1. 15 ჰექტარ და მეტ ფართობზე სატრანსპორტო საშუალებების მუდმივი სარბოლო და საცდელი ტრასების მშენებლობა;

10.2. ნარჩენების გატანა;

10.3. ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა;

10.4. სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;

10.5. 10 ტონა ან მეტი სახიფათო ნარჩენების დროებით შესანახი ობიექტების მშენებლობა;

10.6. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია;

10.7. შლამის განსათავსებელი ადგილების მოწყობა და ექსპლუატაცია;

10.8. ასაფეთქებელი ნივთიერებების აღდგენა ან განადგურება.

11. ტურიზმი და დასვენება:

11.1. სამთო სათხილამურო ტრასების ან/და საბაგიროების მოწყობა 5 ჰექტარზე და მეტ ფართობზე;

11.2. დასასვენებელი ბანაკების (მათ შორის სასტუმროების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის) მშენებლობა ქალაქგარეთ 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე;

11.3. მუდმივი ბანაკის ან/და ავტომისაბმელების სადგომის მშენებლობა 5 ჰექტარზე და მეტ ფართობზე;

11.4. გასართობი პარკების გაშენება 10 ჰექტარზე და მეტ ფართობზე.

დანართი 5. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სკრინინგი ს ფორმის ნიმუში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტებისთვის (ქვეკომპონენტი 1.2 და 1.3)

პროექტის დასახელება:	მდებარეობა:		
მისამართი:	საკონტაქტო პირი და ტელეფონი:		
დარგი:	აქტივობა:		ობიექტების რაოდენობა და სახეობა:
პროექტის ტიპი (მონიშნეთ x):	ახალი x	დამატება	არსებული
ობიექტზე ვიზიტის თარიღი: 15.01.2019	მომზადებულია/განახლებულია: თანამდებობა:		
<p>პროექტის მოკლე აღწერა: სესხის დანიშნულება: სასტუმროს მშენებლობა, რემონტი და გრძელვადიანი აქტივების შექმნა. თბილისში მდებარე 40 ნომრიანი სასტუმრო.</p>			
<p>შედის გამონაკლისი აქტივობების სიაში (კი/არა): არა</p>			
<p>დარგის სპეციფიური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები (გთხოვთ დააკონკრეტოთ): პროექტთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება (მაღალი) • ეკოსისტემები / ობიექტის დაბინძურება (საშუალო) • ჰაერში ემისია (საშუალო) • ნარჩენები (საშუალო) 			
<p>მითითებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გთხოვთ წარმოადგინოთ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია "დამატებითი ინფორმაციის" განყოფილებაში, პასუხების გასამყარებლად. • გთხოვთ მოგვაწოდოთ კითხვარის შევსების შემდეგ ძირითადი საკითხების შეჯამება და პროექტის კატეგორიზაცია • გთხოვთ საჭიროებისამებრ დაურთოთ სამოქმედო გეგმა • გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ დარგის სპეციფიური ინფორმაცია იხილეთ მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებების ცხრილი და IFC EHS მითითებები: <ul style="list-style-type: none"> ○ http://firstforsustainability.org/risk-management/understanding-environmental-and-social-risk/risk-by-industry-sector/ ○ www.ifc.org/ehsguidelines 			

შეფასება მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნებით

	კითხვა / რისკი	კი	არა	N/A	დამატებითი ინფორმაცია (გთხოვთ პასუხებზე წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია)
1.	ობიექტის მდებარეობასთან დაკავშირებული რისკები		√		
1.1	განხორციელდება თუ არა პროექტი/ოპერაციები დაცულ ზონებში ან მათ მახლობლად, ან ზონებში, რომლებისთვისაც მთავრობა განიხილავს ოფიციალურ დაცული ტერიტორიის სტატუსს?				
1.2	უქმნის თუ არა პროექტი/საქმიანობა პოტენციურ საფრთხეს ადგილობრივ, რეგიონული ან ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას? (საჯარო კონსულტაციების დროს ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მნიშვნელოვან, დასაცავ ღონისძიებებზე და შენობებზე)				
1.3	განხორციელდება თუ არა ყველა აქტივობა საწარმოს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ე.ი. არ ექნება ადგილი შემთხვევით უარყოფით ზემოქმედებას მიწაზე, საცხოვრებელზე, აქტივებზე, ან საარსებო წყაროზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე (ფორმალური მფლობელები ან არაფორმალური მოსარგებლები)?				
1.4	არის თუ არა ინფორმაცია აქტივობის შესახებ საჯარო და გამოთქვამს თუ არა რომელიმე ადგილობრივი მოსახლ ან არასამთავრობო ორგანიზაცია შეშფოთებას ან პოზიციას პროექტის/აქტივობის წინააღმდეგ, ადრინდელი ან შესაძლო სამომავლო გარემო ან სოციალური ზემოქმედების გამო?				
1.5	არის თუ არა პროექტის/აქტივობის რაიმე სხვა ასპექტი, რომელმაც შეიძლება შექმნას რისკი, ან დისკომფორტი შეუქმნას ადგილობრივ თემებს სტანდარტული ოპერაციების დროს, ან განსაკუთრებულ ვითარებაში?				

2. გარემოს დაცვის რეგულაციებთან შესაბამისობა და პასუხისმგებლობა				
2.1	არსებობს თუ არა რაიმე სამართლებრივი პრობლემები კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით მუშაობასთან?		✓	
2.2	აქვს თუ არა კომპანიას ყველა საჭირო ჯანდაცვის და უსაფრთხოების ნებართვა (გთხოვთ დაურთოთ ასლები)		✓	სპეციალური ნებართვები საჭირო არ არის, გარდა სამშენებლო ნებართვისა.
2.3	გადაიხადა თუ არა კომპანიამ ზედმეტი გადასახადები ან ჯარიმები ჯანდაცვის და უსაფრთხოების რეგულაციების და სტანდარტების შეუსრულებლობისთვის ბოლო ორი წლის განმავლობაში? (გთხოვთ დაურთოთ უახლესი შემოწმების დასკვნის ასლები)		✓	
2.4	ეკისრება თუ არა კომპანიას პოტენციურად მნიშვნელოვანი ვალდებულებები, როგორცაა მიწის/მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, დაკავშირებული კომპანიის ადრინდელ ან მიმდინარე ოპერაციებთან? თუ კი, მიუთითეთ მოცულობა		✓	
2.4	ქონდა თუ არა კომპანიას მნიშვნელოვანი ავარიის ან ინციდენტის შემთხვევა ბოლო ორი წლის განმავლობაში (მაგ. ნავთობის დაღვრა, ხანძარი), რომელმაც გამოიწვია გარდაცვალება ან მრავლობით სერიოზული დაზიანებები?		✓	
3. მართვის სისტემები				
	შემოწმეთ მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოყვანილი რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ მიუთითეთ მაკორექტირებელი ზომა ან განმარტეთ, რატომ არ არის საჭირო: <input type="checkbox"/> არ არის შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა <input type="checkbox"/> არ არის შემუშავებული ადამიანური რესურსების წერილობითი პოლიტიკა (მაგ., თანამშრომელთა უფლებები/დისკრიმინაციის გამორიცხვა) <input type="checkbox"/> არ არის შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო/უსაფრთხოების გეგმა ან საგანგებო სიტუაციის პრევენციის / მომზადების / რეაგირების გეგმა <input type="checkbox"/> თანამშრომლებისთვის არ არის შემუშავებული გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების ტრენინგი <input type="checkbox"/> არ არის შემუშავებული გარემოსდაცვითი და			სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს დამკვეთის მიერ დაქირავებული რამდენიმე კონტრაქტორი - სამშენებლო კომპანია. კომპანიებს არ აქვთ შემუშავებული წერილობითი პოლიტიკა, მაგრამ იცავენ ადგილობრივ კანონმდებლობით მოთხოვნილ შესაბამის წესებს. კონტრაქტორები პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოებაზე. სასტუმროს მშენებლობის დასრულების შემდეგ სასტუმროს ადმინისტრაცია

	<p>სოციალური რისკების მართვის პროცედურები</p> <p><input type="checkbox"/> არ არის დანიშნული პირი, რომელიც პასუხისმგებელია გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებზე</p> <p><input type="checkbox"/> არ არსებობს შიდა პროცესი ინფორმაციის გაზიარებისთვის</p>				<p>მომზადებს კანონით/შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტს და ზომას.</p>
4.	გარემოსდაცვითი საკითხები				
4.1	<p>შეამოწმეთ ჰაერის ემისიებთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოცემული რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ მიუთითოთ მაკორექტირებელი ზომა, ან განმარტეთ, რატომ არ არის საჭირო:</p> <p><input type="checkbox"/> არ არის მიღებული ნებართვა ჰაერში ემისიაზე.</p> <p><input type="checkbox"/> კვამლი/გამონაბოლქვი აირი გამოიყოფა შესაფერისი ფილტრის გარეშე.</p> <p><input type="checkbox"/> არ ტარდება ჰაერში ემისიის მონიტორინგი</p>			<p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p>	<p>მშენებლობით გამოწვეული მტვერი, ასევე ჰაერის დაბინძურება ტექნიკის გამოყენების შედეგად, პოტენციური რისკის ფაქტორებია, რომლებსაც მართავენ სამშენებლო კომპანიები.</p>
4.2	<p>შეამოწმეთ ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოცემული რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ მიუთითეთ მაკორექტირებელი ზომა, ან განმარტეთ, რატომ არ არის საჭირო:</p> <p><input type="checkbox"/> ჩამდინარე წყლები / სითხეები გამოიყოფა / ჩადინება წყალში (წყაროში / აუზში / ტბაში) ან ნიადაგზე</p> <p><input type="checkbox"/> არსებობს მარეგულირებელი ორგანოების მიერ გამოწერილი ჯარიმები ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიმიტების გადაჭარბებისთვის</p> <p><input type="checkbox"/> არ არსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ან არასწორად მუშაობენ</p> <p><input type="checkbox"/> გაჟონვა, გადაყრა, თხევადი ნარჩენების ან ჩამდინარე წყლების ჩადინება წყაროში / მდინარეში / აუზში / ნიადაგში.</p>			<p>✓</p>	

4.3	<p>შეამოწმეთ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები და პუნქტის არჩევის შემდეგ მიუთითეთ მაკორექტირებელი ზომა, ან განმარტეთ, რატომ არ არის საჭირო:</p> <p><input type="checkbox"/> სახიფათო ნარჩენების არასათანადო შენახვა/დამუშავება (მტკიცებულება: ჯართი, თხევადი ნარჩენების შერევა, სუნი, ნარჩენების შესანახი ადგილების არარსებობა და ა.შ.)</p> <p><input type="checkbox"/> არ არსებობს კონტრაქტები სახიფათო, ტოქსიკური და სხვა ნარჩენების განკარგვაზე (ნაგავსაყრელი, კერძო კოლექტორი, მუნიციპალიტეტი)</p> <p><input type="checkbox"/> არ არის გამოყოფილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.</p> <p><input type="checkbox"/> მიწის დაბინძურების და ნარჩენების დამუშავების მექანიზმის არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება</p>		√	<p>ნარჩენების მართვა ხდება სამშენებლო ნარჩენებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნების დაცვით.</p>
5.	უსაფრთხოების საკითხები			
	<p>შეამოწმეთ არის თუ არა ადეკვატური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა (მომსახურებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ჰიდრანტები შლანგებით, სახანძრო აღჭურვილობის ნიშნები და უსაფრთხოების პრაქტიკა, კვამლის/სითბოს სენსორები, ამ სენსორებთან დაკავშირებული სიგნალიზაციის სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო გასასვლელები კარგად მონიშნული და მოსახერხებელი?). თუ არა, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება.</p>			<p>სამუშაოებს ახორციელებს რამდენიმე კონტრაქტორი კომპანია, რომელთაც ევალუატირება მუშაკებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. კომპანიები პასუხისმგებელი არიან სპეციალურ სიფრთხილის ზომებზე და აღჭურვილობაზე. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი იქნება სასტუმროს ადმინისტრაცია.</p>
6.	შრომის საკითხები			
	<p>აქვს თუ არა კომპანიას ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს? გთხოვთ, ხაზგასმით აღნიშნოთ ძირითადი წესები.</p> <p>შეამოწმეთ დასაქმებულთა დაკავშირებული პრობლემები და ქვემოთ მოცემული რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ მიუთითეთ მაკორექტირებელი ზომები, ან განმარტეთ, რატომ არ არის საჭირო:</p> <p><input type="checkbox"/> არ გამოიყენება პერსონალური დამცავი აღჭურვილობა (მაგ. დამცავი სათვალე /</p>			<p>არ არის შემუშავებული წერილობითი პოლიტიკა / პროცედურები. საქმიანობა ხორციელდება ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.</p>

	<p>ჩაფხუტი / დამცავი ხელთათმანი).</p> <p><input type="checkbox"/> თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების არასაკმარისი ზომები (მაგ. დაცემის პრევენცია / ვენტილაცია).</p> <p><input type="checkbox"/> არასათანადო სამუშაო პირობები (მაგ. ჰაერის ხარისხი / განათება / შეზღუდული სივრცეები / ჰიგიენა)</p> <p><input type="checkbox"/> დასაქმების არასათანადო პირობები (მაგ. სამუშაო საათები / შესვენება / დასვენება / ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება).</p> <p><input type="checkbox"/> დასაქმების არათანაბარი შესაძლებლობები (მაგ. დისკრიმინაცია სქესის/ეთნიკური ჯგუფის/ასაკის კუთხით).</p> <p><input type="checkbox"/> მინიმალურ ხელფასზე მცირე ანაზღაურება.</p> <p><input type="checkbox"/> მინიმალურზე დაბალი ასაკის თანამშრომლები.</p> <p><input type="checkbox"/> ბავშვთა ან იძულებითი შრომა.</p> <p><input type="checkbox"/> თანამშრომლებისთვის არ არის შემუშავებული საჩივრების დაფიქსირების პროცედურები</p> <p><input type="checkbox"/> არ არის აღიარებული თანამშრომლების / პროფკავშირული გაერთიანებები</p>				
			<p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p> <p>✓</p>		<p>როგორც აღინიშნა, სამუშაოებს ახორციელებს რამდენიმე კონტრაქტორი კომპანია, რომლებსაც ევალებათ თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. კომპანიები პასუხისმგებელი არიან სპეციალურ სივრთხილის ზომებზე და აღჭურვილობაზე. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი იქნება სასტუმროს ადმინისტრაცია.</p>

7.	სოციალური საკითხები				
	<input type="checkbox"/> საჭიროა მიწის შესყიდვა <input type="checkbox"/> ადგილობრივი მოსახლეობის განსახლება <input type="checkbox"/> გავლენა ადგილობრივ დასახლებებზე / საარსებო წყაროზე <input type="checkbox"/> გავლენა მკვიდრ მოსახლეობაზე <input type="checkbox"/> მეზობლების / საზოგადოებების საჩივრები <input type="checkbox"/> კულტურული / არქეოლოგიური მნიშვნელობის ობიექტზე ან მიმდებარედ		✓	✓	✓

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შეჯამება (გთხოვთ წარმოადგინოთ ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გადაწყვეტის შეჯამება)

დამკვეთის მიერ დაქირავებული კონტრაქტორი კომპანიები პასუხისმგებელი არიან განსაკუთრებული სიფრთხილის ზომებზე და აღჭურვილობაზე, უსაფრთხო სამუშაო გარემოზე. მშენებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკი საშუალოა, თუმცა არ არსებობს რთული საკითხების გადაწყვეტის გზები. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სასტუმროს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე. სახანძრო დაცვის სისტემა მოეწყობა ადგილობრივი მოთხოვნების დაცვით. პროგრესი შემოწმდება მონიტორინგის დროს.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

გამოვლენილი პრობლემა	საჭირო რეაგირება	დასრულების თარიღი
მაგ. არ არის გაფორმებული კონტრაქტები სახიფათო ნარჩენების მართვაზე	ნარჩენების მართვის აკრედიტებული კომპანიის შერჩევა ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვისთვის	სესხის გაცემამდე

პროგრესის და გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების მონიტორინგი ტარდება ობიექტზე ვიზიტისას.

სტანდარტული გარემოსდაცვითი და სოციალური პუნქტები – სახელმძღვანელო, რომელიც უნდა იყოს ჩართული მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების და ქვემსესხებლებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში (განსაკუთრებით მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც შეიმუშავებენ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ახალ სისტემებს). გთხოვთ სახელმძღვანელოს ნიმუში იხილოთ ქვემოთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს თითოეული მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის მიხედვით:

- თითოეული ქვემსესხებელი ვალდებულია:
- (i) დაიცვას საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა.
 - (ii) მიიღოს, იქონიოს და უზრუნველყოს ყველა საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვა.
 - (iii) პროცედურების შემუშავება გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის და პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

დანართი 6. ქცევის კოდექსის ძირითადი კომპონენტები

ქცევის კოდექსი ითვალისწინებს კონტრაქტორის ყველა პერსონალის ვალდებულებებს (მათ შორის ქვეკონტრაქტორების და დღიური მუშაკების ჩათვლით), რომლებიც შესაფერისია მინიმუმ შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად. დამატებითი ვალდებულებები შეიძლება განისაზღვროს რეგიონის, მდებარეობის და პროექტის სექტორის, ან პროექტის კონკრეტული მოთხოვნების მიხედვით. ქცევის კოდექსში უნდა დაფიქსირდეს, რომ ტერმინი „ბავშვი“ / „ბავშვები“ გულისხმობს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს.

გადასაწყვეტ საკითხებში შედის:

1. შესაბამისობა მოქმედ კანონებთან, წესებთან და რეგულაციებთან.
2. ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოქმედ მოთხოვნებთან შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის (მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ჩათვლით), დამსაქმებლის პერსონალის და კონტრაქტორის პერსონალის დასაცავად (მათ შორის პერსონალური დამცავი აღჭურვილობის ტარება, თავიდან აცილებადი ინციდენტების პრევენცია და უსაფრთხოების დარღვევის და გარემოსთვის სახიფათო პირობების დაფიქსირების ვალდებულება).
3. არალეგალური ნივთიერებების გამოყენება.
4. დისკრიმინაციის გამორიცხვა ადგილობრივ საზოგადოებასთან (მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ჩათვლით), დამსაქმებლის პერსონალთან და კონტრაქტორის პერსონალთან ურთიერთობისას (მაგ. ოჯახური მდგომარეობის, ეთნიკური წარმომავლობის, რასის, სქესის, რელიგიის, ენის, ასაკის, ინვალიდობის (ფიზიკური და გონებრივი), სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სოციალური, სამოქალაქო და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო).
5. კავშირი ადგილობრივ საზოგადოებასთან, ადგილობრივი საზოგადოების წევრებთან და ნებისმიერ დაზარალებულ პირთან (მაგ. პატივისცემის გამოხატვის მიზნით, მათ შორის მათი კულტურის და ტრადიციების მიმართ).
6. სექსუალური შევიწროება (მაგ. ენის ან ქცევის აკრძალვის მიზნით, განსაკუთრებით ქალების ან/და ბავშვების მიმართ, რომელიც არის შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, პროვოკაციული, დამამცირებელი ან კულტურულად შეუსაბამო).
7. ძალადობა, მათ შორის სექსუალური ან/და გენდერული ძალადობა (მაგ. ქმედებები, რომლებიც იწვევს ფიზიკურ, ფსიქიკურ, ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედებებით დამუქრება, იძულება და თავისუფლების შეზღუდვა).
8. სექსუალური ექსპლუატაცია და შეურაცხყოფა (მაგ. ფულის, დასაქმების, საქონლის ან მომსახურების შეთავაზების აკრძალვა, მათ შორის სექსუალური შეღავათები ან სხვა სახის დამამცირებელი მოპყრობა, ექსპლუატაცია, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება).

9. ბავშვების დაცვა (მათ შორის სექსუალური აქტივობის ან ძალადობის აკრძალვა, ან სხვა მიუღებელი ქცევა ბავშვების მიმართ, ბავშვებთან ურთიერთობის შეზღუდვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა).
10. სანიტარული მოთხოვნები (მაგ. იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუშებმა გამოიყენონ მათი დამსაქმებლის მიერ უზრუნველყოფილი სანიტარული საშუალებები).
11. ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია (მაგ. შეღავათები, კონტრაქტები, დასაქმება, ან რაიმე სახის შეღავათიანი მოპყრობა ნებისმიერი პირისადმი, რომელთანაც აქვს ფინანსური, ოჯახური ან პირადი კავშირი).
12. გონივრული სამუშაო ინსტრუქციების დაცვა (მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ნორმების).
13. ქონების დაცვა და სათანადო გამოყენება (მაგალითად, ქურდობის, დაუდევრობის, ან გაფლანგვის აკრძალვის მიზნით).
14. ამ კოდექსის დარღვევის შესახებ ინფორმირების ვალდებულება.
15. სამაგიეროს გადახდა თანამშრომლებისთვის, რომლებიც კეთილსინდისიერად აფიქსირებენ ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტებს.

ქცევის კოდექსი უნდა მომზადდეს მარტივი ტერმინოლოგიით. ქცევის კოდექსს ხელს აწერს თითოეული თანამშრომელი და მიუთითებს, რომ:

- მიიღო კოდექსის ასლი;
- განემარტა კოდექსი;
- მისთვის ცნობილია, რომ ქცევის კოდექსის დაცვა დასაქმების წიპირობაა; და
- მისთვის ცნობილია, რომ კოდექსის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები, სამსახურიდან გათავისუფლების ჩათვლით, ან საკითხის სამართალდამცავი უწყებებისთვის გადაცემით.

ქცევის კოდექსის ასლი უნდა გაეცნოს საზოგადოებას და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ სუბიექტებს ადვილად მისაწვდომ ადგილას. ქცევის კოდექსი გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს ადგილობრივ მოსახლეობას, კონტრაქტორის პერსონალს, დამსაქმებლის პერსონალს და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სუბიექტებს.

დანართი 7. ზოგადი წესები პროექტის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტისთვის და სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” სოციალური საკითხების სპეციალისტისთვის

ქვემოთ მოცემულია სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის განხორციელების ჯგუფის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტების ზოგადი სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ფუნქციებიდან ზოგიერთი შეიძლება მიეცეს სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” მოქმედ პერსონალსაც იმ პირობით, თუ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და დრო პროგრამის ფარგლებში ფუნქციების შესასრულებლად.

პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტების საბოლოო და დეტალური სამუშაოს აღწერა დაფიქსირდება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში და დამტკიცდება მსოფლიო ბანკის მიერ პროექტის დაწყებამდე.

გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტი - სამუშაოს აღწერა

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიციაზე.

ფუნქციები:

- გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სკრინინგის ფორმების და პროცედურების ადაპტირება და გაუმჯობესება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებში აღწერილი პრინციპების შესაბამისად.
- სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” და კონტრაქტორი ორგანიზაციების ინფორმირება სკრინინგის პროცედურებზე და მონიტორინგის და ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა, პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შესაბამისად, მიკრო გრანტის ბენეფიციარების შეფასების და შერჩევასა და მიკრო გრანტის აქტივობების განხორციელებისას.
- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს საკითხებთან დაკავშირებით სპეციალური სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც გადაეცემა კრედიტორებს საკრედიტო ანალიზის პროცესში.
- კონტრაქტორ ორგანიზაციების, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების და სხვა დაინტერესებული მხარეების უშუალო მხარდაჭერა სკრინინგი ს, ადგილზე ვიზიტების და აუდიტის მეშვეობით გრანტების და სესხების შეფასებაში.
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კომპლექსური და სენსიტიური აქტივობების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ დამატებით კვლევას, ახალ ნებართვებს,

შემდგომ გამოკვლევას და გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების შეფასების სხვა სამუშაოებს, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში აღწერილი მსოფლიო ბანკის პოლიტიკის მიხედვით.

- მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა მათი გარემოსდაცვითი მართვის სისტემების შესაფასებლად და გარემოსდაცვითი საქმიანობის ასპექტების შესახებ წლიური ანგარიშის განხილვაში და მომზადებაში დასახმარებლად.
- მონაწილე კონტრაქტორი ორგანიზაციების, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და სხვათა აქტივობების იდენტიფიცირება და ჩატარება.
- კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ მოწოდებული გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების განხილვა და პროექტის აქტივობების და გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პრობლემების შესახებ ანგარიშების წარდგენა, შესაბამისობის დოკუმენტაციის მოსამზადებლად მსოფლიო ბანკისთვის პერიოდული ანგარიშების წარდგენაში დასახმარებლად.
- გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირებისას, ქვემსესხებლების (მოსარგებლე მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების), კონტრაქტორი ორგანიზაციების ან მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების დახმარება მაკორექტირებელი ზომების შემუშავებაში და მათი განხორციელების კონტროლში.
- პროექტის გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებულ საჩივრებზე საწყისი საკონტაქტო პირის ფუნქციის შესრულება, საჭიროებისამებრ საჩივრების განხილვაში მონაწილეობა.
- აუდიტის პროცედურის შემუშავება და დანერგვა გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესაფასებლად და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- სოციალური და გარემოსდაცვითი სასწავლო მასალების შემუშავება იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებსაც კონტრაქტორი ორგანიზაციები და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები სავარაუდოდ წააწყდებიან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებთან მუშაობისას. აღნიშნულ მასალებში შედის ტრენინგ მოდულის პრეზენტაცია, სახელმძღვანელოები და სხვა ლიტერატურა, გარემოს დაცვის მოთხოვნების შესასრულებლად. ტრენინგი უნდა შეიცავდეს მოდულს კრედიტორებისთვის, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების შესაფასებლად, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად.
- სოციალური და გარემოსდაცვითი ტრენინგის მოდულის პრეზენტაცია კრედიტორების ყველა ტრენინგზე - პერსონალური პრეზენტაცია, ვებინარის ან სხვა ელექტრონული საშუალებებით პრეზენტაცია და ვებ პორტალზე განთავსება. ტრენინგები ითვალისწინებს კრედიტორების კითხვებზე პასუხს.

- კონკრეტულ გარემოებებზე კრედიტორების კითხვებზე პასუხი. მითითებები იმ ნაბიჯებზე, რომლებიც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებმა უნდა გადადგან სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის მენეჯერისთვის კვარტალური ანგარიშის შედგენა ჩატარებული ტრენინგის რაოდენობის, მიღებული მოთხოვნების რაოდენობის და სახეობის შესახებ და იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს რამდენიმე კრედიტორზე.
- გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული განაცხადების განხილვა და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში შესაბამის კონტრაქტორ ორგანიზაციებთან და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან დაკავშირება.
- საჭიროების შემთხვევაში გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მონაცემების მიწოდება კვარტალურ ან/და წლიურ ანგარიშებში.
- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული სახელმძღვანელოს შემუშავება კრედიტორებისთვის, საკრედიტო ანალიზის პროცესში ამ საკითხების განხილვისას გამოსაყენებლად.

კვალიფიკაცია:

- დიპლომი გარემოს დაცვის ან მასთან დაკავშირებულ სფეროში;
- გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება, სასურველია პოზიციაზე, რომელიც ასევე მოიცავდა ფინანსური მომსახურების სფეროს;
- საბანკო და სესხების გაცემა;
- მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნა (არ არის აუცილებელი მათზე მუშაობის გამოცდილება);
- საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის რეგულაციების ცოდნა;
- პროექტების გარემოსდაცვითი შესაბამისობის შემოწმების გამოცდილება, სასურველია საერთაშორისო პროექტებთან მუშაობის გამოცდილება;
- ეფექტური ტაქტიკური და სტრატეგიული აზროვნების უნარი;
- წერიტი, ზეპირი, ურთიერთობის და გადმოცემის უნარები;
- ქართული და ინგლისური ენების (ზეპირი და წერილობითი) მაღალ დონეზე ცოდნა.

სოციალური საკითხების სპეციალისტი – სამუშაოს აღწერა

შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტის სოციალური საკითხების სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაოს აღწერა:

სოციალური საკითხების სპეციალისტის ძირითად ფუნქციებში შედის პროცედურების და მართვის გეგმების განხორციელების კოორდინაცია და მართვა, რომლებიც დაკავშირებულია

სოციალური რისკების მართვასთან, მათ შორის შრომის და სამუშაო პირობების, დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების ჩართულობის, საჩივრების მართვის მექანიზმის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების, გენდერის, სოციალური ინკლუზიის, სექსუალური ექსპლუატაციის და შვიწროების და ნებისმიერი სხვა სოციალური რისკის და ზემოქმედების საკითხებზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას პროექტის განხორციელებისას.

კერძოდ, სპეციალისტი უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად და გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების (დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო, შრომის მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს ფარგლებში), ქვეპროექტის კონკრეტული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების და ვალდებულებების შესაბამისად).

კერძოდ, სპეციალისტის ფუნქციებში შედის:

- გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოები სპეციალისტთან ერთად ტრეინინგის და ცნობიერების ამაღლების სესიების შემუშავება და ჩატარება კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პერსონალისთვის, პოტენციური ბენეფიციარებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, პროექტის მიერ დაფინანსებული აქტივობების სოციალური სკრინინგი ს ჩატარების მიზნით, რათა (i) მოხდეს იმ აქტივობების გაფილტვრა, რომლებიც ვერ ისარგებლებენ პროექტის მხარდაჭერით, (ii) შეფასდეს შემოთავაზებულ აქტივობებთან დაკავშირებული სოციალური რისკები, მაგ., დადგინდეს, რომ პროექტით დაფინანსებისთვის არ განიხილება არც ერთი აქტივობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს იძულებით განსახლება; და (iii) განისაზღვროს, თუ რა სახის გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს მოცემული აქტივობისთვის;
- საჭიროებისამებრ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოთი დადგენილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების შემუშავებასა და განხილვაში დახმარება; გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების გამოქვეყნება ქართულ და ინგლისურ ენებზე და კონსულტირება არსებით და ინკლუზიურ ფორმატში, საქართველოში დაწესებული საკარანტინო შეზღუდვების შესაბამისად;
- პროექტისთვის შრომის მართვის დეტალური ინსტრუქციების შემუშავება, რომელიც მოიცავს N2 გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტის მოქმედ მოთხოვნებს: შრომის და სამუშაო პირობებზე ტრეინინგი კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პერსონალისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- მონიტორინგის წარმოება, რათა უზრუნველყოს, რომ პროექტის ფარგლებში დაქირავებული კონტრაქტორ(ებ)ი აკმაყოფილებენ შრომის მართვის გეგმის, შრომის

კანონმდებლობის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების კანონების და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში/გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში შემავალი შესაბამისი შემარბილებელი ზომების მოთხოვნებს, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებს;

- პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმასთან დაკავშირებული ყველა აქტივობის კოორდინაცია და მართვა, სააგენტოს “აწარმოე საქართველოში”, საქართველოს ეროვნული ბანკის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამის პერსონალთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან კოორდინაციით; აღნიშნულში შედის (არა მხოლოდ) პროექტის საინფორმაციო მასალების შემუშავება ან/და განხილვა, სოციალური მედიის კონტენტი, კონტრაქტორი ორგანიზაციების ტრენინგი, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების საინფორმაციო სამსახურის პერსონალის ტრენინგი და სხვ.
- პროექტის საჩივრების მექანიზმის ყველა ასპექტის მართვა, სააგენტოს საკვანძო პერსონალის ტრენინგი, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარე კომუნიკაციის მექანიზმების მუშაობის მიმოხილვა და მონიტორინგი, პროექტის საჩივრების კონსოლიდირებული აღრიცხვა, საჩივრების გადაწყვეტის შემდგომი მონიტორინგი, რეგულარული ანგარიშების მომზადება სტატუსზე და საჩივრების მართვის მექანიზმის მუშაობაზე;
- პროექტით დასაფინანსებელი აქტივობების სოციალური საკითხების აუდიტის ანგარიშების მომზადება, რეტროაქტიული დაფინანსების შეთანხმებების საფუძველზე;
- გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად პროექტის კვარტალური ანგარიშების მომზადება პროექტის აქტივობების გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით მუშაობის შესახებ; სოციალური კუთხით გაწეული სამუშაოს შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და მაკორექტირებელი ზომების განსაზღვრა, მაკორექტირებელი ზომების სტატუსის დაფიქსირება და პროექტის ობიექტებიდან ფოტომასალის დოკუმენტირება;
- პროექტის მენეჯერის დაუყოვნებლივ ინფორმირება ნებისმიერი ინციდენტის ან უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან, ან გავლენას მოახდენს პროექტზე, აქვს ან შესაძლოა ქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებზე, საზოგადოებაზე, ან თანამშრომლებზე და ამ ინციდენტების და უბედური შემთხვევების შესახებ მსოფლიო ბანკის დაუყოვნებლივ ინფორმირებაში დახმარება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს სტანდარტების შესაბამისად;
- მსოფლიო ბანკის პროექტების განხორციელების რეგულარულ მისიებთან თანამშრომლობა და მოთხოვნისამებრ მისიების მუშაობაში დახმარება; და
- ნებისმიერი სხვა აქტივობა პროექტის ფარგლებში, რომელიც მოითხოვს სოციალური სტანდარტების სპეციალისტის პროფესიულ ჩართულობას.

კვალიფიკაცია:

სპეციალისტის სავალდებულო გამოცდილება და კვალიფიკაცია:

- უნივერსიტეტის დიპლომი სოციოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიის, სამართლის ან სოციალურ მეცნიერებების სხვა შესაბამისი მიმართულებით;
- განვითარების პროექტების და ზემოქმედების შეფასების, მართვის და ზედამხედველობის სფეროში მინიმუმ 3-5 წლიანი გამოცდილება;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.
- უპირატესობა ენიჭება სამუშაო გამოცდილებას სოციალური საკითხების სპეციალისტის პოზიციაზე მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში და მსოფლიო ბანკის ან განვითარების სხვა ბანკის პოლიტიკის და მოთხოვნების ცოდნას.

დანართი 8. თანამშრომლების საჩივრების მართვის მექანიზმის ზოგადი ნიმუში

[კომპანიის დასახელება]

საჩივრების პოლიტიკა და განხილვის პროცედურა

პოლიტიკის და პროცედურების ეფექტური განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის კორპორატიული კულტურისთვის. ამისათვის, მნიშვნელოვანია საჩივრების მექანიზმის არსებობა, უსამართლო მოპყრობის და პოლიტიკის დარღვევის პრევენციისთვის.

ვცდილობთ შევქმნათ სამუშაო გარემო, სადაც ყველა თანამშრომელი გრძნობს, რომ [კომპანიის] მნიშვნელოვანი ნაწილია, ეპყრობიან სამართლიანად და სადაც პრობლემების განხილვა და ადვილად გადაწყვეტა შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე, ღია კომუნიკაციის საშუალებით. შეიძლება შევხვდეთ შემთხვევებს, სადაც თანამშრომელს აქვს დავა ხელმძღვანელთან ან კომპანიასთან, რაც საუკეთესო ფორმით შეიძლება გადაწყდეს დავის გადაწყვეტის ფორმალური პროცედურის მეშვეობით. თანამშრომელსა და კომპანიას შორის დავები უნდა გადაწყდეს შემდეგი პროცედურით. კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს შეცვალოს ეს პროცედურა. პროცედურა არ გულისხმობს ხელშეკრულებას თანამშრომელსა და კომპანიას შორის და არ წარმოადგენს თანამშრომელსა და კომპანიას შორის ხელშეკრულების რომელიმე ნაწილს.

პოლიტიკა თანამშრომლებს საშუალებას აძლევს წამოჭრან და განიხილონ ნებისმიერი პრობლემა ან პრეტენზია, რათა პრობლემები გადაწყდეს სწრაფად, სამართლიანად და ყველა მონაწილეს ინტერესების დაცვით. [კომპანიის] მიზანია თანამშრომლებისთვის საჩივრების გადაწყვეტის ხელმისაწვდომი და სანდო პროცედურის შექმნა.

პოლიტიკის მოქმედების სფერო

საჩივრების გამომწვევ მიზეზებში შედის (არა მხოლოდ): დასაქმების პირობები, ჯანდაცვა და უსაფრთხოება, სამუშაო ურთიერთობები, ჩაგვრა და შევიწროება, ახალი სამუშაო პრაქტიკა, სამუშაო გარემო და ორგანიზაციული ცვლილებები და დისკრიმინაცია. [კომპანია] იყენებს მხილების პოლიტიკას და პროცედურებს, რათა თანამშრომლებს შეეძლოთ შეატყობინონ უკანონო ქმედებები, დარღვევები და არასწორი პრაქტიკა. თუმცა, თუ თანამშრომელზე უშუალო გავლენას ახდენს მოცემული საკითხი, ან თავს თვლის მსხვერპლად მხილების გამო, შეუძლია საკითხი დააყენოს ამ საჩივრების პროცედურის ფარგლებში.

ეს პოლიტიკა ხელმისაწვდომია [კომპანიის] ყველა თანამშრომლისთვის. პერიოდულად, რამდენიმე თანამშრომელი შეიძლება დაზარალებულ იქნეს ან მსგავსი გარემოებებით, რომლებიც, მათი აზრით, უფრო ეფექტურად გადაწყდება კოლექტიური საჩივრის გზით. ამ შემთხვევებში განხორციელდება იგივე პროცედურა, რაც ინდივიდუალური საჩივრების შემთხვევაში, საჭირო კორექტირებით. თანამშრომელთა ჯგუფი მიერ წამოჭრილი საკითხი

განიხილება იმავე ფორმით, რაც ინდივიდუალურად წამოჭრილი საკითხი. ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია დაესწროს საჩივრების განხილვის შეხვედრას.

პრინციპები

- შეძლებისდაგვარად, ყველა ზომა მიღება საჩივრების სწრაფად და არაფორმალურად მოსაგვარებლად, მსჯელობის ან/და შუამავლობის გზით. შუამავლობის მეთოდი გამოიყენება ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელის (ან მისი წარმომადგენლის) შეხედულებისამებრ და განიხილება შესაბამის შემთხვევებში.
- ყველა თანამშრომელს აქვს უფლება დააყენოს ფორმალური საჩივარი, არაფორმალური გადაწყვეტის პროცესის წარუმატებლობის შემთხვევაში.
- ყველა საჩივარი განიხილება საგულდაგულოდ და დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე.
- გადაწყვეტილება არ მიიღება მანამ, სანამ არ ჩატარდება სათანადო მოკვლევა ფაქტების დასაზუსტებლად.
- საჩივრის შემტან თანამშრომელს უფლება აქვს ამ პროცედურის შესაბამისად დაისწროს წარმომადგენელი საჩივრის განხილვის და გასაჩივრების შეხვედრებზე. წარმომადგენელი შეიძლება იყოს პროფკავშირის წარმომადგენელი ან კოლეგა. შეხვედრაზე წარმომადგენელს შეუძლია დასვას კითხვები, თუმცა არ უნდა უპასუხოს კითხვებს თანამშრომლის სახელით.
- პირს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი, მოკვლევის ფარგლებში ექნება შესაძლებლობა უპასუხოს ბრალდებებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
- პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე ან ეტაპებს შორის შუამავლობა შეიძლება მოთხოვნილი იყოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მეშვეობით.
- თანამშრომლებმა და მათმა წარმომადგენლებმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რომ მოთხოვნისამებრ დაესწროს საჩივრის განხილვის შეხვედრას.

პროცედურა

თანამშრომელს შეუძლია პირველ რიგში საჩივრით მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს. თუ თანამშრომელი არ თვლის, რომ შეუძლია ისაუბროს უშუალო ხელმძღვანელთან, ან თუ საჩივარი ეხება უშუალო ხელმძღვანელს, შეუძლია მიმართოს მართვის ზედა მომდევნო რგოლს ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელს. თანამშრომელს შეუძლია გაესაუბროს უფრო მაღალი რგოლის მენეჯერს ან ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რათა განიხილოს საკითხის არაფორმალური გადაწყვეტის შესაძლებლობები. ეს შეიძლება მოხდეს არაფორმალური ზეპირი დისკუსიის გზით. პრობლემის გადაწყვეტის არაფორმალური მეთოდების წარუმატებლობის შემთხვევაში, თანამშრომელს შეუძლია დაიწყოს საჩივრის შეტანის ფორმალური პროცესი.

1. თუ თანამშრომელი იწყებს საჩივრის შეტანის ფორმალურ პროცესს, უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი 7 სამუშაო დღის ფარგლებში ქმნის

საჩივრების კომიტეტს (შემდგომში - კომიტეტი) [XXX მენეჯერის] თანხმობით. კომიტეტის მუდმივი წევრები არიან ადამიანური რესურსების და [კომუნიკაციების, იურიდიული და შიდა კონტროლის დეპარტამენტების - წამალეთ ან მეცვალეთ საჭიროებისამებრ] წარმომადგენლები. სხვა წევრები განისაზღვრება საქმიანობის მიმართულების მიხედვით. უპირატესობა ენიჭება განყოფილებას, რომელიც კავშირშია თანამშრომლის სამუშაო სპეციფიკასთან. კომიტეტის ხელმძღვანელს ამტკიცებს [XXX მენეჯერი].

2. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი დამოუკიდებლად ან/და კომიტეტის წევრების მოთხოვნით ვალდებულია შეაგროვოს და კომიტეტის თავმჯდომარეს გაუგზავნოს საჩივართან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია: თანამშრომლის და უშუალო ხელმძღვანელის წერილობითი ახსნა-განმარტებები, საჩივართან დაკავშირებული სხვა დოკუმენტირებული მასალები.
3. კომიტეტის თავმჯდომარე თანამშრომელს წერილობით უდასტურებს საჩივრის მიღებას და იწვევს საჩივრის განხილვის შეხვედრაზე.
4. კომიტეტის შექმნიდან ათი (10) სამუშაო დღის ვადაში ინიშნება საჩივრის განსახილველი შეხვედრა. კომიტეტი განიხილავს წარდგენილ დოკუმენტებს ან/და მტკიცებულებებს. დამატებით, კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს შეხვედრა თანამშრომელთან / უშუალო ხელმძღვანელთან ან ნებისმიერ პირთან, რომელიც რაიმე ფორმით დაკავშირებულია საჩივართან. უფრო ზუსტი გადაწყვეტილებების მისაღებად კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს მეორე შეხვედრა. კომიტეტის გადაწყვეტილებას განიხილავს და ამტკიცებს [XXX მენეჯერი].
5. საჩივრის განსახილველ შეხვედრას წარმართავს კომიტეტის თავმჯდომარე. თანამშრომელი ვალდებულია განმარტოს საჩივრის ხასიათი და დააფიქსიროს საკუთარი აზრი, თუ რა ფორმით შეიძლება გადაწყდეს პრობლემა.
6. თუ თანამშრომელი ვერ ესწრება შეხვედრას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამის შესახებ მაქსიმალურად სწრაფად უნდა აცნობოს თავმჯდომარეს, რომელიც ეცდება შეხვედრა დანიშნოს ორმხრივად ხელსაყრელ დროს. თუ თანამშრომელი ახსნა-განმარტების გარეშე არ დაესწრება შეხვედრას ან აღმოჩნდება, რომ არ მიუღია საკმარისი ზომები დასასწრებად, შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს თანამშრომლის დაუსწრებლად.
7. შეხვედრიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, თანამშრომელს წერილობით ეცნობება შეხვედრის შედეგი და ნებისმიერი ქმედება, რომლის განხორციელებასაც კომპანია სთავაზობს საჩივრის განხილვის შედეგად. კომიტეტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საჩივრის შეხვედრის შედეგის აღსრულებას. შემოთავაზებულ ზომებს საჭიროებისამებრ გაეწევა მონიტორინგი. თუ თანამშრომლის საჩივარი არ დაკმაყოფილდება, კომიტეტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს მიზეზის დეტალურად განმარტებას.
8. თუ თანამშრომელი არ არის კმაყოფილი კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეუძლია მიმართოს [XXX მენეჯერს]. გასაჩივრება წერილობით უნდა წარედგინოს [XXX

მენეჯერს]. თანამშრომელმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს გასაჩივრების საფუძველი, შედეგის წერილობით ინფორმირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. თუ [XXX მენეჯერი] დაადგენს, რომ არსებობს გასაჩივრების რეალური საფუძველი, საჩივრის განსახილველად გამოყოფს მენეჯერს, რომელიც არ არის კავშირში განსახილველ საკითხთან. თუ [XXX მენეჯერი] თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრების რეალური საფუძველი, ამის შესახებ მიზეზებთან ერთად წერილობით აცნობებს თანამშრომელს.

ადამიანური რესურსების და კომუნიკაციების დეპარტამენტის ფუნქციები

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ა) ამ პოლიტიკის და აღსრულების საშუალებების შემუშავებაზე; ბ) პოლიტიკის თანამშრომლებისთვის გაცნობაზე; გ) კომპანიის მასშტაბით პოლიტიკის განხორციელების პროცესის წარმართვაზე; დ) საორგანიზაციო კომიტეტის შექმნაზე.

აღრიცხვის წარმოება

ადამიანური რესურსების დეპარტამენტი აწარმოებს დეტალურ აღრიცხვას, რასიც შედის:

- საჩივრის სახეობა
- წერილობითი საჩივრის ასლი
- დამსაქმებლის პასუხი
- მიღებული ზომა
- მიღებული ზომის მიზეზები
- გასაჩივრება და შედეგი
- შემდგომი პროცესი

აღრიცხვა კონფიდენციალურია და მონაცემები ინახება მხოლოდ საჭირო ვადით, კომპანიის შიდა პროცედურის შესაბამისად.

კონფიდენციალურობა

- თანამშრომლებმა, მათმა წარმომადგენლებმა, მოპასუხე მხარემ ან/და მოწმეებმა არ უნდა განიხილონ საჩივარი, მოკვლევა და მათი განცხადებების შინაარსი სხვა თანამშრომელთან ან მესამე მხარესთან.
- შეხვედრებზე პროცედურის თითოეულ ეტაპზე კეთდება შენიშვნები, არა სიტყვასიტყვითი, არამედ განხილვის შემაჯამებელი ფორმის. დოკუმენტაციის ასლებს კონფიდენციალურად ინახავს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, კომპანიის შიდა პროცედურის შესაბამისად.

ინფორმაცია სიახლეების შესახებ

საჩივრების პროცედურებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსდება კომპანიის შიდა პლატფორმაზე: გავრცელდება ელექტრონული ფოსტით და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, საორიენტაციო პროგრამის და ტრენინგების დროს.

დანართი 9. ინციდენტებზე რეაგირება: ზოგადი ინსტრუქცია

პროექტის ფარგლებში, ინციდენტი არის უბედური შემთხვევა ან გარემოება, რომელიც გამოწვეულია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ ეროვნული და გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს მოთხოვნების შეუსრულებლობის შედეგად, რომელიც წარმოიქმნება პროექტის განხორციელებისას გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო. ინციდენტების მაგალითებია: ფატალური შემთხვევები, სერიოზული ავარიები და დაზიანებები; სოციალური ზემოქმედება; სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა/სექსუალური შევიწროება, გენდერული შევიწროების სხვა ფორმები; გარემოს დაზიანებები; ბიომრავალფეროვნების ან კრიტიკული საარსებო გარემოს დაზიანება; კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება და საზოგადოებრივ სერვისებზე წვდომის დაკარგვა.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები) მოიცავს ინციდენტების დაფიქსირების უფრო დეტალურ მითითებებს. კერძოდ, კონტრაქტორები და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ხელშეკრულებით ვალდებული არიან დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 48 საათისა) აცნობონ სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” ჯანდაცვის და უსაფრთხოების მათთვის ცნობილი ინციდენტების შესახებ. ამ მიზნით, კონტრაქტორები და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები პროექტის ბენეფიციარებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში (1.1, 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტები) შეიტანენ ჯანდაცვის და უსაფრთხოების ინციდენტების სწრაფი მოხსენების მოთხოვნას. ბენეფიციარების მიერ კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შეტყობინებების ნიმუშები (ინციდენტების შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ინციდენტის დაფიქსირების ფორმაში.

ინციდენტის დაფიქსირების ფორმა

<p>ინციდენტის დამფიქსირებელი:</p> <p>პოზიცია:</p> <p>თარიღი:</p>			
<p>პროექტის დასახელება:</p> <p>კრედიტორი / გრანტის მიმღები:</p> <p>პროექტის მენეჯერი:</p> <p>პროექტზე მიმაგრებული გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტები:</p>			
კითხვა	პასუხი	გადაწყვეტა	შენიშვნა
ინციდენტის წინასწარი კლასიფიკაცია (იხ. ჩანართი 1)			
რა ინციდენტს ქონდა ადგილი, რა მოხდა? რას ან ვის შეემთხვა?			
სად და როდის მოხდა ინციდენტი?			
როდის და როგორ შევიტყვეთ ინციდენტის შესახებ?			
ინციდენტის შესახებ ძირითადი ფაქტები მკაფიო და უტყუარია? თუ არსებობს საპირისპირო ვერსიები? რა ვერსიები არსებობს?			
რა გარემოებებში და პირობებში მოხდა ინციდენტი (თუ ამ ეტაპზე ცნობილია)?			
არსებობს ინციდენტის მტკიცებულებები?			
ინციდენტი კვლავ გრძელდება თუ ამოიწურა?			
მოხდა თუ არა პირის გარდაცვალება ან მწვავე დაზიანება?			
ცნობილია თუ არა ინციდენტის შესახებ სააგენტოსთვის? რა რეაგირება მოახდინა?			
რა ზომები მიიღო კრედიტორმა /კონტრაქტორმა?			

ჩანართი 1: ინციდენტების კლასიფიკაციის ინსტრუქცია

ინდიკაციური

- შედარებით მცირე მასშტაბის ლოკალიზებული ინციდენტი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მცირე გეოგრაფიულ არეალზე, ან ადამიანთა მცირე ჯგუფზე
- არ იწვევს მნიშვნელოვან ან გამოუსწორებელ ზიანს
- შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების შეუსრულებლობა შეზღუდული უშუალო ზემოქმედებით

სერიოზული

- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს, თანამშრომლებს, თემებს, ან ბუნებრივ ან კულტურულ რესურსებს.
- გარემოსდაცვითი და სოციალური ღონისძიებების შეუსრულებლობა მნიშვნელოვანი ზემოქმედებით ან განმეორებითი დარღვევა, გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ინციდენტები.
- შეუსაბამობის გამოუსწორებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება.
- რთული ან/და ხარჯებთან დაკავშირებული.
- შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დონის გრძელვადიანი ზიანი.
- საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას.
- შესაძლოა ბანკს უქმნიდეს მნიშვნელოვან რეპუტაციულ რისკს.

მწვავე

- ნებისმიერი ფატალური შემთხვევა.
- ინციდენტები, რომლებმაც გამოიწვია ან შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს გარემოს, თანამშრომლებს, თემებს ან ბუნებრივ და კულტურულ რესურსებზე.
- სერიოზული დარღვევების გამოუსწორებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გამოუსწორებელი ზემოქმედება.
- სერიოზული დარღვევების გამოუსწორებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ზემოქმედება; რთული ან/და დიდ ხარჯებთან დაკავშირებული.
- შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი ზიანი ან მწვავე ტრავმა.
- საჭიროებს სასწრაფო, მყისიერ რეაგირებას.
- ბანკს უქმნის მნიშვნელოვან რეპუტაციულ რისკს.

სააგენტოს “აწარმოე საქართველოში” პერსონალი დაუყოვნებლივ აცნობებს მსოფლიო ბანკს ნებისმიერი ინციდენტის, საგანგებო სიტუაციის და გაუთვალისწინებელი გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას სამუშაოების დროს და პირდაპირ ან ირიბად იმოქმედოს გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე, კონტრაქტორების პერსონალზე და ქვეპროექტის ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე. ამ მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა მიუხედავად ანგარიშგების პერიოდულობისა.